

# ლიტერატურული საქართველო



საქართველოს მწარმალთა ეროვნული აკადემია \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО


6 სექტემბერი, 2013 წ.

№60 (3670)

გამოცემის 77-ე ფენტი

ვადი 1 ლარი

## საქართველოში ჟკვიანი ხალხი ლაპარაკობს, საქმეს კი სულელები წყვეტებ!



### თამაზ ნიკოლაძე

ძვირფასო ბატონო ბიძინა!

თავიდანვე უნდა განვაცხადო, რომ სათაურში გატარებული აზრი არც ახალია და არც ჩემი მოგონილი!

ჯერ კიდევ როდის წუხდა ამაზე დიდგვაროვანი წარმომავლობის სკვითი, ანაქარსისი!

ეს კიდევ ის ანაქარსისია, ფილოსოფია საბერძნებში რომ შეისწავლა და თვით ბერძნებიც ისე გააოცა თავისი ჭუა-გონებით, რომ ზოგიერთებმა იგი შვიდ ბრძნენთა რიცხვშიც კი შეიყვანეს!

რასაკვირველია, ამ დიდებულ შვიდეულში მოხვედრის საშიშროება, ანაქარსისისგან განსხვავებით, მე არ მემურება – უბრალოდ, გამიჩნდა სურვილი, ამ ბრძენი სკვითის მიერ გამოთქმული გულისტყივილი ამჯერად ქართველი ხალხის გასაგონად გავიმეორო!

„ბერძნებში ჭკვიანები სიტყვას ამბობენ, საქმეს კი სულელები წყვეტები“-ო!

კი, სწორად შეამჩნიეთ, რომ აქ, დედაში, „ბერძნები“ სწრია, მე კიდევ ავდექი და ეს სიტყვა „ქართველებით“ შევცვალე!

ეს ამ შემთხვევაში არც დიდი ცოდვა გახლავთ და, მით უმეტეს, არც ლინგვისტური ძალადობა. მინდა, გჯეროდეთ, ამ სიტყვამონაცვლეობამდე სწორებ რომ შექმნილმა ვითარებამ მიმიყვანა, რათა ხმამაღლა და ყველას გასაგონად მეთქვა! –

„საქართველოში დღეს ჭკვიანი ხალხი ლაპარაკობს, საქმეს კი სულელები წყვეტები!..“

ძვირფასო ბატონო ბიძინა!

თავის დროზე მე ეს სიტყვები ჩვენს „უფშვიტინესაც“ (სააკაშვილს ვგულისხმობ!) ვუთხარი და, მეტი თვალსაჩინოების მიზნით, ასეთი ცხადი მაგალითიც მოვაყოლე:

დღევანდელ საქართველოში ჭკვიანი ხალხი სიტყვიერად მსჯელობს, საქმეს კირკიტაძები, თუთბერიძები და სამყურაშვილები წყვეტენ-მეტე!

ერთი სიტყვით, – ვწერდი მაშინ, – ბატონო მიხეილ, ისეთი ადამიანები, თავის დროზე ვახტანგ მეექვსის მიერ შექმნილ „სწავლულ კაცთა კომისიაში“ შესაყვანად რომ გამოდგებოდნენ, გვირჩევენ და გვთავაზობენ, როგორი უნდა იყოს უმაღლესი და საშუალო განათლება დღეს! – ამ სფეროში საქმის გადაწყვეტა კი, თქვენი ნებართვით, მიზნდობილი აქეს რეგვენ ალექსანდრე ლომაიას, რომელიც განათლებით სანტექნიკოსია და ისიც – კანალიზაციის განხრით!

ვახსოვთ, ალბათ, ბატონო ბიძინა, სწორედ რომ განათლების მინისტრის, სანტექნიკოს ლომაიას გვერდით ჯდომისას გაუჩნდა საქართველოს პრეზიდენტს დაუკავებელი სურვილი – კანალიზაციის მილებში ჩაერცხა ქართული ინტელიგენციის ერთი დიდი ნაწილი, ქართული აკადემიის საქვეყნოდ სახელგანთქმული მეცნიერები..

ამიტომ ვწერდი ასე ხშირ-ხშირად – დღეს საქართველოში ჭკვიანი ხალხი მხოლოდ ლაპარაკობს, საქმეს კი სულელები წყვეტენ-მეტე!

მაგალითად, თუ ცოტას წავიხუმრებთ, შეგვიძლია, ასედაც ვთქვათ: ბრძენი კაცის ხმას ერთ ყურში რომ შეუშვებს, მეორე ყურიდან გამოუშვებს და მესამე ყურით თადარიგს იჭერს დეპუტატი სამყურაშვილი!..

ასევე, ჭკვიანი ხალხის რჩევაზე პირს საგანგებოდ კუმავს და ყველაფერს ცალყბად უსმენს პარლამენტარი გიგა თარგამაძე!..

ხოლო დეპუტატი გიგა ბოკერია – თავისი მოქადაკე დედის ერთადერ-

თი წინდაუხედავი და საეჭვო სვლა – საუთარ ხელისუფლებასთან ერთად არაიშვიათად უმძიმეს ცაიტნოტში ვარდება!..

ცხადია, ამ სამთავრობო დაფაზე ჩემი მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ არა იმდენად, უმიმდო, მოახლოებული შამათის შიშით ღირსების გრძნობა რომ დავკარგო – ხელისუფლებას ყაიმი შევთავაზო და მასთან ქულა გავიყო!..

მით უმეტეს, როცა იცი, რომ სააკაშვილის ხანის სახელმწიფო რეკეტიონებს გამრავლება და მიმატება უფრო ეხერხებათ...

ამ კუთხით ჩვენი ქვეყნის ვადაგასული პრეზიდენტი მე პირადად, რაც კი ამ თემაზე რამე წამიკითხავს, იქიდან ყველაზე მეტად იმპერატორ ვესასანების მაგონება!..

სვეტონიუსის გადმოცემით, ვესასანები უველაზე ხარბ ადამიანებს განზრახ ნიშნავდა მაღალ თანამდებობებზე, რათა გამდიდრების შემდეგ ისინი დაესაჯა!

იმპერატორის თანამედროვეთა გადმოცემბზე დაყრდნობით სვეტონიუსი პირდაპირ წერს:

ვესასანები თავის მსხვილ მოხელეებს ისე ექცევა, როგორც ზღვის ღრუბელს – ასველებს, როცა ის მშრალია, და წურავს, როცა სველდება!

ძველი რომის ეს მმართველიც, როგორც ამ ქვეყნის ბევრი სხვა იმპერატორიც, ჰყიდვა სახელმწიფო თანამდებობებს, ზღვიდა გადასახადებს საუთარი გარემოცვის გასამდიდრებლად!

მან სპეციალური გადასახადიც კი შემოილო საპირფარეშოთი სარგებლობაზე!

როცა შვილმა, ტიტუსმა, მამას ეს უსაყვედურა, ვესასანები შვილს შუბლზე მონეტა მიაკარა და ჰკითხა: ყარს თუ არა! როდესაც უარყოფითი პასუხი მიიღო, შვილს უთხრა: ეს საპირფარეშოში გადახდილი თანხის ნაწილია!

ძვირფასო ბატონო ბიძინა!

მცირე მოცულობის ამ წერილში ბევრ საჭირობოროტო საკითხს შევხე, მაგრამ აქედან, როგორც უმთავრესს, ახლაც ხაზგასმულად ვიმეორებ:

საქართველოში დღესაც ჭკვიანი ხალხი ლაპარაკობს, სულელები კი საქმეს წყვეტება!..

როგორც ჩანს, ეს ყველა დროისა და ყველა ქვეყნის სენია – იქნებ, რამენარიად შეებრძოლოთ ამ უბედურებას!

მეტი რა უნდა გითხრათ! როცა თქვენ ხელისუფლებაში მოპრანდით, მე მაშინ საქართველოში, – ზუსტად მახსოვეს! – 27-იოდე კაცს „ვემდუროდი“ და დღეს ეს ოცდაშვიდივე არამზადა თქვენს გარემოცვაშია!

თუმცა ისიც კარგია და მეც იმედს მაძლევს, რომ აქედან თითქმის ნახევრად, გამოცველი საქართველოში მიმდინარეობა მოხდება!

დანარჩენები კიდევ კბილაშვილისა გაბილის გავრცელების ელოდების შემდეგ ელოდების გარემოცვაშია!

P.S.

გადადგომა გიპრძანებიათ, ბიძინა ბატონო!

ჰოდა, ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ჭკვიანი ხალხი ამ საკითხზე დღესაც ბევრი სხვა იმპერატორიც, ჰყიდვა სახელმწიფო თანამდებობებს, ზღვიდა გადასახადებს საუთარი გარემოცვის გასამდიდრებლად!

მე კაცებ, რაკი სულელი არა ვარ – ამ ნაბიჯს ვერ მოგიწონებთ!..

რასაკვირველია, ადრე თუ გვიან, ამას სახელისუფლო გარემოცვა მიხვდება, მაგრამ ეს მაშინ მოხდება, როცა თქვენც კაი ხნის გადამდგარი იქნებით და ეს ქვეყანაც კაი ხნის დაქცეული!..


ხოლო სააკაშვილი არსადაც არ იქნება გაქცეული!..

თ. 6.





# ՃՏՀԱՏ. ԿԵՐՄՈՎՅԻՆ ՊԱՏ ԺՈՆԵՐԵՆՏԵՆԸ



ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი რობინ ჯორჯ კოლინგვუდი (1889–1943) თავის „ხელოვნების პრინციპებში“ (1938) საუბრობს ხელოვნებაზე, როგორც მაგიაზე. იგი გვამცნობს, რომ სიტყვა „მაგია“ არ არის რაღაც განსაზღვრული აზრის მატარებელი. თუკი ამ სიტყვას ვიხმართ, – განაგრძობს კოლინგვუდი, – ეკლესიის ცერემონიის დასახასიათებლად, იგი იმ წამსვე გაგებული იქნება, როგორც შეურაცხოფა ამ ცერემონიის მიმართ. ის, რომ ეს სიტყვა იქცა მაგინებელ სიტყვად, დამსახურებაა ანთროპოლოგთა სკოლისა, რომლის პრესტიუი საკმაოდ მაღალი იყო. თავის დროზე ამ სკოლამ მიზნად დაისახა ჩვენგან განსხვავებულ ცივილიზაციათა მეცნიერული კვლევა, რომელიც ცნობილი არიან „პირველყოფილის“ სახელით. ამ პირველყოფილ ცივილიზაციებში შეინიშნებოდა პრაქტიკის ისეთი სახეობა, რომელსაც საერთო შეთანხმებით მაგია ეწოდა. როგორც მკვლევარებს, მათ აუცილებლად უნდა აეხსნათ მოტივი ასეთი პრაქტიკისა – მაგიისა. რისთვის არის საჭირო ეს მაგია? – იყოთხეს მათ, პოზიტივისტური ფილოსოფიის დომინირების ზემოქმედებით მათ პასუხის ქებნა დაინტერეს იმ მიმართულებით, რომელიც იგნორირებას უკეთებდა ადამიანის ემოციურ ბუნებას და ადამიანური გამოცდილების ყველა ელემენტი დაჰყავდა მის ინტელექტუალურ გამოვლინებებზე. ასეთი ნინასნარ აკვათებული აზრით ანთროპოლოგებმა „პირველყოფილის“ მაგიური პრაქტიკა შეუდარეს ცივილიზებული ადამიანის ქმედებას, როდესაც იგი იყენებს თავის მეცნიერულ ცოდნას ბუნების სამართავად. ამგვარდ, მათ დაასკვნეს, რომ ჯადოქარი და სწავლული ერთ სახეობას განეკუთვნებიან. ორივე მათგანი იმ პირვენებებს წარმოადგენენ, რომლებიც ცდილობენ ბუნებაზე ზემოქმედებას თავიანთი მეცნიერული ცოდნით. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სწავლული ნამდვილად ფლობს მეცნიერულ ცოდნას და ამიტომ მისი ცდები ბუნების მართვისა წარმატებით სრულდება, ხოლო ჯადოქრისა, რომელიც ასეთ ცოდნას არ ფლობს, წარმუატებლად მთავრდება. ანთროპოლოგებმა დაასკვნეს: – მაგიას საფუძვლად უდევს უძრალოდ განსაკუთრებული ხასიათის შეცდომა, რომ მაგია წარმოადგენს მცდარ ბუნების მეცნიერებას, ხოლო მაგიური ქმედებები არის შეცდომებზე დამყარებული ფსევდომეცნიერული ცდები.

აქ კოლინგვადი ირონიით შენიშვნას, რომ ეს თეორია ჯერ კიდევ ედუარდ ტა-ილორმა ნარმოადგინა 1871 წელს თავის „პირველყოფილ კულტურაში“ (თავი 4), ხოლო ის ფაქტი, რომ ჩვენს დროში მას კიდევ სწავლობს ჯეიმს ფრეიზერი („ოქ-როს ტოტი“), კოლინგვადის თქმით, იქცა ნამდვილ უძღვესად თანამდეროვე ან-თორპოლოგისათვის და მასთან დაკავ-შირებული ყველა მეცნიერული სფერო-სათვის. ეს თეორია მაგისა, განაგრძობს კოლინგვადი, როგორც ფსევდომეცნი-ერებისა, ნამდვილი მაგალითია აზრთა განსაკუთრებული არევდარევისა და მის დასალაგებლად და უხეში შეცდომების მოსაშორებლად ნამდვილად არ ლირს დროის ხარჯვა. ამიტომ ავტორი ორიო-დე შენიშვნით იფარგლება. 1. ლოკისათ-ვის საპატიო იყო, როდესაც იგი ბარბა-როსებსა და იდიოტებს ერთი სახეობის ადამიანებად მიიჩნევდა, იმ ადამიანებად, რომელთაც არ შეეძლოთ ლოგიკური აზ-როვნება. ლოკისათვის ეს საპატიო იყო იმდენად, რამდენადც იგი და მისი თანა-მედროვენი ბარბაროსთა შესახებ პრაქ-ტიკულად არავითარ ცოდნას არ ფლობ-დნენ.

მაგრამ ეს სრულიად დაუშვებელი იყო  
XIX საუკუნის ანთროპოლოგთათვის,  
რომელთაც იცოდნენ, რომ ადამიანებს,

რომელთაც ისინი იხსენიებენ ბარბაროსებად, გარდა ინტელექტისა, რომლის მეშვეობითაც ეს „ბარბაროსები“ ქმნიდნენ ფრიად რთულ პოლიტიკურ იურიდიულ და ლინგვისტურ სისტემას, გააჩნდათ ასევე საკმაოდ ფართო გაეგბა ბუნებაში მიზეზთა და შედეგთა კავშირებზე, რაც მათ საშუალებას აძლევდათ, ჩაეტარებინათ რთული ოპერაციები მეტალურგიაში, სოფლის მეურნეობაში, მეჯოგეობაში და ა.შ. ასე რომ, ისინი სრულიადაც არ ჰყავდნენ იმ იმპეციოლს, რისი დამტკიცებაც სურს ტაილორის თეორიას და მის გროტესკულ განვითარებას, რომელსაც ახორციელებდნენ ფრანგი ანთროპოლოგები. 2. თუნდაც „ბარბაროსი“ ყოფილყო იდიოტი, ეს თეორია მაინც არ შესაბამება იმ ფაქტებს, რომელთა ასახსნელადაც იგი იყო იყო შექმნილი. ავილოთ ერთ-ერთი ასეთი ფაქტი. „ბარბაროსი“ მართლაც თავის მოქრილ ფრჩხილებს, რათა ისინი არ აღმოჩნდნენ მტრის ხელში, საგულდაგულოდ ანადგურებს. ანთროპოლოგის შეკითხვაზე, თუ რატომ აკეთებს იგი ამას, ბარბაროსი პასუხობს, რომ მისი მიზანია მტრებს ხელი შეუშალოს იმაში, რომ მათ არ გამოიყენონ ეს მოქრილი ფრჩხილები, როგორც მაგიური იარაღი მისსავე საწინააღმდეგოდ, რადგან მათ თუ გაანადგურებენ ბოროტი განზრახვით და შესაბამისი წეს-ჩვეულების დაცვით, მაშინ მოსპობას დაემორჩილება თვით სხეული, რომლიდანაც მოქრეს ფრჩხილები. ანთროპოლოგი, რომელსაც სურს გაიგოს, თუ ბარბაროსი რატომ მისდევს ასეთ უსაფუძვლო რწმენას (რადგან იგი დარწმუნებულია, რომ სულ უბრალო ექსპერიმენტი ნათელს მოჰყენდა მის მცდარობას), ამის ასახსნელად იგონებს ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც „ბარბაროს“ სწამს „სიმპათიური“ კავშირისა მოქრილ ფრჩხილებასა და სხეულს შორის. ასე რომ, ამ ფრჩხილების მოსპობას ავტომატურად მოჰყვება სხეულის დაზიანება. ეს მეორე რწმენა ისევე უსაფუძვლოა, როგორც პირველი და თავად ითხოვს განმარტებას. კეთილშობილმა ინგლისელმა ანთროპოლოგებმა ეს უბრალოდ ვერ შენიშნეს, მაგრამ ეს შენიშნეს მათმა უფრო რაციონალურმა ფრანგმა კოლეგებმა და ხელი მიჰყვეს „პირველყოფილი აზროვნების“ მთელი თეორიის გამომუშავებას, რომელიც გვიჩვენებდა, რომ „ბარბაროს“ გააჩნია მეტად თავისებური გონება, რომელიც სრულიად არ ჰყავს ჩვენსას. მისი გონება არ აზროვნებს ლოგიკურად, როგორც ამას აკეთებს ფრანგის გონება, იგი არ ლებულობს ცოდნას ცდისაგან, როგორც ამას აკეთებს ინგლისელის გონება, იგი ფიქრობს (თუკი ამას შეიძლება აზროვნება ეწოდოს) მეთოდური განვითარების მეშვეობით იმას, რაც ჩვენი თვალსაზრისით ნარმოადგენს რაღაც სიგიურის მსგავსს. ეს განსაციფრებელი მაგალითი თეორიისა, განაგრძობს კოლინგვუდი, რომლის ზეგავლენა ანთროპოლოგიურ მეცნიერებაზე არა მგონია, უფრო დამღლებელი ყოფილიყოს, ვიდრე მისი მავნე გავლენა პრაქტიკულ კავშირებზე ევროპელებსა და იმ ხალხებს შორის, რომელთაც მათ კმაყოფილებით შეარქვეს „ბარბაროსული“ – ეფუძნება ტრივიალურ, მაგრამ უხეხ შეცდომას. საქმე ისაა, რომ ფაქტი, რის ასახსნელადაც ეს თეორია შეიქმნა, არასოდეს ყოფილა შენიშნული. აკვირდებოდნენ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ „ბარბაროსი“ სპობს თავის მოქრილ ფრჩხილებს. თეორია მდგომარეობს იმაში, რომ „პირველყოფილ ადამიანს“ სწამს „მისტიკური“ კავშირისა მოქრილ ფრჩხილებსა და საკუთარ სხეულს შორის, ისე, რომ მათ მოსპობას შეუძლია ზიანის მოტანა მისი სხეულისათვის. მაგრამ მას ამის რომ სჯეროდეს, მაშინ თავის ქმედებას საკუთარ ფრჩხილებზე იგი ჩასთ

ვლიდა თვითმკვლელობად. ამ დროს კი იგი ასე არ ფიქრობს, მაშასადამე, მას არ სჯერა მოგონილი „მისტიკური კავშირი-სა“ და ამიტომ ის საფუძვლები, რომელთა მიხედვითაც იგი „დაასაჩუქრეს“ „პირ-ველყოფილი აზროვნებით“, უკვალიდება. რა უბრალოც არ უნდა იყოს ეს შეცდომა, იგი სულაც არ არის უწყინარი იგი ნიღბავს ნახევრად გაცნობიერებულ შეთქმულებას, ცდას, რათა სასაცილო და უბადრუკ მდგომარეობაში ნარმობადგინოს ჩვენგან განსხვავებული ცივილიზაციები, კერძოდ, ცივილიზაციები, სადაც ლიად არის აღიარებული მაგია. რასაკავირველია, ანთროპოლოგები აღმფოთებით უარყოფენ ამას, მაგრამ მათი პოზიციის უფრო დაკვირვებული განხილვისას ცხადი გახდება მათი შეპასუხებათა სისუსტე. ამგვარად ფაქტი, საიდანაც დავინცეთ ჩვენი თხრობა, მდგომარეობს იმაში, რომ „ბარბაროსი“ ანადგურებს თავის მოჭრილ ფრჩხილებს იმ მიზნით, რათა ხელი შეუშალოს მტერს, იგივე ჩაიდინოს და, ამავე დროს, თავისი ფრჩხილების განადგურებას იგი თან აყოლებს გარკვეული მაგიური წესების შესრულებას. ანთროპოლოგი კი დაახლოებით ასე ფიქრობს: „ჩემი თანამოსაუბრე შიშობს, რომ ვინმეტ ერთდღოულად არ ჩაიდინოს ორი რამ: მისი ფრჩხილების მოსპობა და გარკვეული წესის შესრულება. მაგრამ მას ნამდვილად ჩემზე უკეთ მოეხსენება, რომ მთელი ეს წესები უბრალო ჰოკუს-ფოკუსია და ისინი საშიშნი სულაც არ არიან, მაშასადამე, მას არ უნდა ეშინოდეს თავისი მოჭრილი ფრჩხილების განადგურებისა“. ანთროპოლოგი ასე რომ არ ფიქრობდეს, მაშინ იგი არ დაიწყებდა თავისი თეორიის დაფუძნებას ფსევდოფაქტზე (მოჭრილი ფრჩხილების, როგორც ასეთების, განადგურების შიშე), ნაცვლად იმისა, რომ იგი დაეფუძნებინა ნამდვილ ფაქტზე, რაც ტეშმარიტად შეინიშნება (მოჭრილი ფრჩხილების განადგურების შიშე) მხოლოდ იმ, და მხოლოდ შემთხვევაში, თუკი მას თან ახლავს გარკვეული მაგიური (ცერემონიები). ის მამოძრავებელი ძალა, რამაც აიძულა ან-თროპოლოგი წასულიყო მცდარი გზით, არის მისივე რწმენა, რომ ცერემონიები რაც თან ახლავს ფრჩხილების განადგურებას, არის უბრალო ფოკუსი, რომელსაც არ შეუძლია ვინმეს ავნოს. მაგრამ ეს ცერემონიები – ერთადერთი მაგიური ნაწილია მთელ ამ სიტუაციაში. მაგისის სხენებული თეორია შექმნილი იყო ფაქტების ისეთი დამახინჯების შედეგად რომ საკუთრივ ყველა მაგიური ელემენტი მისგან ამოვარდა. სხვა სიტყვებით ეს თეორია წარმოადგენს მოსწრებულად შენიღბულ უარს მაგისის ნებისმიერი შესრულების ქმედებაზე. ჩვენი დროის ანთროპოლოგები, განაგრძობს კოლინგვუდი, უკვე ნაკლებად ენდობიან როგორც ტაილორ-ფრეიზერის თეორიას, ასევე ამ თეორიის ფსიქოლოგიურ მორთულობებს, რომელიც ამ თეორიას დაუმატალევი-ბრიულმა. მაგრამ ამ თეორიიდან განდგომა სპეციალისტების მიერ, ამბობს კოლინგვუდი, ხდებოდა თითქმის უხმაუროდ, რამაც მოიტანა, რაოდენგასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ თეორიის საზოგადოების გონებაში ჩაჭედვა. თუმცა, ცხადა, იყო გამონაკლისებიც მაგალითად, ცნობილი მალინოვსკი თავის ლექციებში „რწმენისა და მორალისაფუძვლები“ სიტყვასიტყვით შემდეგსაცხადებდა: „წარმოდგენა პირველყოფილ მაგიაზე, როგორც „მცდარ მეცნიერულ მეთოდზე“, ხელს არ უწყინოს მისი კულტურული ღირებულების სამართლიან შეფასებას“, მაგრამ ცუბლიკა თავისას ითხოვდა. მისი ეს მოთხოვნა ანთროპოლოგიური ლიტერატურისა და კამაყოფილებულ იქნა „ოქროს რტოთი“, როგორც კოლინგვუდი აცხადებს – სასიამოვნო სა-

ՅՈՒՆԻՎԵՐՍԱԳՐԱԿԱՆ ՀԱՆԱԳՈՅԵ ԳՐՈՅՈՒԹ.  
ԱՄՈՒՆՅՈՒՐԱԳՐԱՎՈ ՏԱԲԱԳՈՅԵ ԳՐՈՅՈՒԹ.  
ԱՄՈՒՆՅՈՒՐԱԳՐԱՎՈ ՏԱԲԱԳՈՅԵ ԳՐՈՅՈՒԹ.  
ԱՄՈՒՆՅՈՒՐԱԳՐԱՎՈ ՏԱԲԱԳՈՅԵ ԳՐՈՅՈՒԹ.

თავისი „ტოტემისა და ტაბუს“ მესამე თავში, ამბობს კოლინგუდი, ფრონდმა წამოაყენა არა იმდენად აღტერნატივა, არამედ სპეციალიზებული განვითარება ტაილორ-ფრეიზერის მაგის თეორიისა. იმ დროსასთვის ლევი-ბრიული უკვე ენეოდა პრობლემის განმარტებას, თუ რატომ მოქმედებს „ბარბაროსის“ გონება ესოდენ უცნაური, და, ჩვენი შესედულებით, ასეთი ირაციონალური გზით, როგორც ეს იგულისხმება ტაილორ-ფრეიზერის თეორიაში. მან ეს ახსნა იმით, რომ ბარბაროსებს გააჩნიათ სპეციფიკური ტიპის გონება, რომელიც მოქმედებს სწორედ ამდაგვარად (იხ. მისი „პირველყოფილი აზროვნება“, რომელიც თავდაპირველ ვარიანტში ასე ჟღერდა: „აზრობრივი ფუნქციები დაბალ საზოგადოებაში“). განსჯანი ამ წიგნში წარმოადგენ ძალზე საინტერესო ნიმუშს „მეტაფიზიკისა“ კანტისეული გაგებით, ესაა ცდა ფაქტების ახსნის, ოულტურ არსთა შეთხვით. პირველებს „აზროვნების“ ბუნება თავის თავში სრულიად შეუცნობელია, მისი შეცნობა შეიძლება მისი გამოვლინებების მიხედვით, იმის მიხედვით, თუ როგორ ფიქრობს და როგორ მოქმედებს იგი. ამიტომ არ აქვს აზრი ბარბაროსის უცნაური „აზროვნების“ და მოქმედების ახსნას ჰიპოთეზის მეშვეობით, რომ მას გააჩნია უცნაური ტიპის აზროვნება, ვინაიდან ეს ჰიპოთეზა არ ექვემდებარება შემოწმებას.

ლევი-ბრიულის ამ აზრების წარმოდ-

ლევი-ბრიულის ამ აზრების წარმოდ-

გენის შემდეგ კოლინგუდი პირდაპირ

დასციხის ძას. გახიზილავს ძის აზოვებე-  
ბას რაოდაც ატრა კათაბრათ. უაზრო სიტყ-

თუ ისაბურულებელი მად, კა არ არ არ უკუ-  
ვებისა და აბდაუბდის გროვად.

გადადის რა ფრონტის განხილვაზე,

კოლინგვუდი აღნიშნავს, რომ მან აირ-  
ტება წმინდა მის წილით და უკავშირდება.

ჩია ხდინდა ძეცხის ული გ ზა. ფორმიდს ესმოდა, რომ მაცნიერის საჭმავა უაჭტე-

თან, არამედ სხვა ფაქტებთან. იკვლევდა

რა იმავე საკითხს, რასაც ლევი-ბრიული  
— რა გონი დაძროშენ პურისტობის აქა

- አጋጣጠር ማስተካከለውን የሚመለከት ተቋማዎች እንደሚከተሉ ይህንን የሚያሳይ ነው?

სავარაუდო მაგის ფაქტების შეპირის-

პირებით იძულებითი ნევროზის მაგალი-  
ტი არ მი არ არ არ

თებთან, რომელიც მან გამოიკვლია თა-  
ვის, ჰავაისში გდანს არ ვათ მიოთვაძეს.

კინ ააცილეს მუნიციპალიტეტის გადამდებარებას. ფუნდონიდი მიუმართება, რომ ბავშვები თავისი სურვილებს იკვეთოთ.

ლებს გრძნობადი ჰალუცინაციების მეშ-

ვეობით, ანუ იგი ქმნის დაკმაყოფილების

გრძელბას გრძელბათა ორგანოების ცენტრულანული აღაზინძის, მიმღევო-

კონტაქტის მიზანი არ იყენდებოდა და მათ შემდეგ მართვის მიზანი იყო. „პარტნერი“ აკეთებს არა

► იმავეს, მაგრამ რაღაც მსგავსს. იგი  
იკმაყოფილებს თავის სურვილებს,  
ახორციელებს რა აქტს, რომელიც გა-  
მოსახავს საგნების მდგომარეობას, რო-  
მელზედაც იგი ოცნებობს, სხვა სიტყვე-  
ბით, ქმნის მოტორული სახის ჰალუცი-  
ნაციებს. ამის საილუსტრაციოდ ფრონდი  
იმოწმებს ერთ-ერთ თავის პაციენტს,  
ნევრასთენიკს, რომელსაც სჯეროდა,  
რომ თუ იგი გაიფიქრებდა ადამიანზე, ეს  
ადამიანი იმნამსვე გადმოტანილ იქნებო-  
და მასთან, თუკი იგი ვინმეს დაწყევლიდა,  
ის ადამიანი მოკვედებოდა და ა.შ. ფრონდი  
ამტკიცებდა, რომ ეს აზრის ყოვლისშემძ-  
ლეობის ტოლფასია, რწმენისა იმისადმი,  
რომ ყველაფერი, რასაც კი ადამიანი გა-  
იფიქრებს, მოხდება უბრალოდ, როგორც  
შედეგი ამ აზრისა. ფრონდი ვარაუდობ-  
და, რომ ეს საინტერესო ფსიქოლოგიური  
მდგომარეობა საფუძვლად უდევს მთელ  
მაგიურ პრაქტიკას.

ამასთან დაკავშირებით კოლინგვუდი ხაზგასმით აცხადებს: ასეთი განსჯანი არაფრად ვარგა. მათი დახმარებით შეიძლებოდა მაგის ახსნა, თუკი იქნებოდა სრულიად განსხვავებული იმისაგან, რასაც იგი წარმოადგენს, ხოლო ასე ამას არავითარი დამოკიდებულება არ გააჩნია ნამდვილ ფაქტებთან. მაგია არსებოთად შედგება ქმედებათა სისტემისაგან, მეთოდისაგან. არცერთ ჯადოქარს არ სწამს, რომ შეუძლია მიღება იმისა, რაც მას სურს, უბრალოდ, სურვილის შედეგად, იგი არ ფიქრობს, რომ ყველაფერი მის ირგვლივ ხდება მისი აზრის შესაბამისად და მისი აზრის შედეგად. პირიქით, სწორედ იმიტომ, – დასხენს კოლინგვუდი, – მან იცის, მის სურვილსა და დაკმაყოფილებას შორის არ არსებობს არავითარი კატეგორი ამდაგარი სახისა (ამიტომაც იგი რადიკალურად განსხვავდება ფრონტის პაციენტისაგან სწორედ იმ ხარისხში, რომლის მიხედვითაც ხდება მათი შედარება), იგი იგონებს ან იღებს ჯადოქრულ მეთოდს, როგორც საშუალო რგოლს, რომელიც ამ ორ მომენტს აკავშირებს. მოვცანებით ფრონიდმა, აგრძელებს კოლინგვუდი, როგორც ჩანს, ბუნდოვნად იწყო იმისი გააზრება, იმისი გაგება, რომ მაგის თეორია, რომელიც ყურადღებას არ აქცევს მაგიურ პრაქტიკას, არ შეიძლება იყოს სავსებით დამაკმაყოფილებელი. მაშინ მან გადაწყვიტა მაგიური პრაქტიკის მოხმობა, განმარტავდა რა, რომ იძულების ნეკრასოვნიერი თავიანთი ყოვლისშემძლებობის შიშის ნინაშე თავს იცავენ მისგან, ქმნიან რა ფორმულებს და რიტუალებს, რომელთა ფუნქცია მდგრმარეობს იმაში, რათა თავიდან აიცილონ მთელი მათი ჩანაფიქრებისა და სურვილების შესრულება. ეს მოვლენა, ამბობს ფრონიდი, ნარმოადგენს მაგიური რიტუალური ქმედებების „სიმეტრიულ ანარეკლს“, მაგრამ ეს შედარებული ორი მაგალითი იმდენად ჰგვანან ერთმანეთს, დასხენს კოლინგვუდი, როგორც, მაგალითად, მეხამრიდი და დინამო-მანქანა. ნეკრასოვნიკი, არის რა რამდენადმე სულით ავადმყოფი, ფიქრობს, რომ მისი სურვილები იმწაშვე სრულდება. გააჩნია რა თავის სიგიფეში რაღაც მეთოდი, იგი იწყებს საშუალებათა გამოგონებას ამ უშუალო კავშირისა და თავისი სახიფათო აზრებს გასანადგურებლად. „ბარბაროსმა“ კი იცის, როგორც გონიერმა ადამიანმა, რომ სურვილები ასე თავისთავად არასოდეს შესრულდება. ამიტომ იგი იგონებს საშუალებას მათ შესასრულებლად.

პრობლემა ნებისმიერი მაგის თეორი-ისა ამდაგარია, ამბობს კოლინგვუდი, როგორი უნდა იყოს სურვილები, რომ ის ქმედებები, რომელთაც ჩვენ მაგის ვუ-წოდებთ, გამოყენებულნი იქნან მათი შესრულების საშუალებად? ფრონდი არც კი შეხებია ამ პრობლემას. მან უბრალოდ მიაფურჩენა იგი, ვერ შეძლო რა ყურადღე-ბის მიეცვა იმ თავისებურებებზე, რო-მელთა აღმოჩენა ნამდვილად შეიძლება მაგიურ ქმედებაში, და მერე ანარმონ შე-დარება მაგის ფსიქოლოგიასა და მისგან საგანგებით განსხვავებულ იძულების ფსი-

რომ ეს არ ხდება. ხდება სწორედ ამის სანინააღმდეგო: ემოციები განიცდიან ფოკუსირებას და კრისტალიზებას, ყალიბდებიან როგორც ეფექტური ფაქტორები პრაქტიკული ცხოვრებისა. ეს პროცესი პირდაპირ საპირისპიროა კათარზისისა – მასში ემოციები განიმუხტებიან, რათა ხელი არ შეუძლონ პრაქტიკულ ცხოვრებას, მაგიაში კი ემოციები განიცდიან ორგანიზებას და ნარიმართებიან იმავე პრაქტიკული ცხოვრების მიზნებისაკენ მე ვამტკიცებ, აცხადებს კოლინგვუდი რომ ძირითადი ფუნქცია ყველა მაგიურა აქტისა მდგომარეობს იმაში, რომ გამოიწვიოს შემსრულებელსა ან შემსრულებლებში გარკვეული ემოციები, რომლებიც ითვლებიან აუცილებლად ან სასარგებლოდ სასიცოცხლო მოღვაწეობისათვის. აქ სებობენ მაგიის ისეთი გამოვლინები რომელთაც საერთო არაფერი აქვთ „სასიცოცხლო მოღვაწეობასთან“ და რომლის ერთ მაგალითს ცოტა ქვემოთ წარმოვადგენ. მთლიანად მხარს უჭერ რა კოლინგვუდის კრიტიკას, რომელიც თავს დაატეხა მან ტაილორ-ფრეიზერისა და ფრონდის თეორიებს, არ შემძლია დავვთანხმო მის შემდეგ განცხადებასაც. კოლინგვუდი გვამცნობს, რომ მაგიის პრაქტიკაში არის „ნევიმების გამოძახების და მინისტრების შეწყვეტის“ ცერემონიები ამის განხორციელება შეუძლებელია და სისულელეა, ამბობს იგი და დაბეჯითებით ირწმუნება, რომ ეს შეცდომები არ წარმოადგენ მაგიის არსს, არამედ მისი მხოლოდ დამახინჯება. ჩემი აზრით, სხვა შემთხვევებში ძალზე მოზომილი და ფაქტიზად მოაზროვნებ კოლინგვუდი აქ თავად ვარდება უკიდურესობაში, რადგან რამე მოვლენის „არსის“ განჭვრეტა, მითუმეტეს, მაგიის არსისა, რომ არაფერი ვთქვათ მის „დამახინჯებაზე“, თავისთავად დიდი პრობლემის შეცველია.

სანამ ამ პრობლემებს შევეხებოდებ მსურს კოლინგვუდს დავუთმო სიტყვათუ როგორ ესმის მას „მაგიური ხელოვნება“, რომელსაც იგი ცალკე ქვეთავე უთმობს. იგი ეყრდნობა იმ მოსაზრებას რომ მაგია აღმრავს ემოციებს პრაქტიკული მიზნის მისაღწევად, სადაც ხელოვნება დამხმარე როლს თამაშობს (მაგალითად: ცეკვა ყოველთვის არის მაგია რადგან იგი წარმოადგენს არშიყობის რიტუალს). კოლინგვუდი ამ აზრს განვრცობს თანამედროვე საზოგადოებაზე და მაგიურ რიტუალებს ან მის ელემენტებს ხედავს საზოგადოებრივ-ყოფით ცხოვრებაში (ქორწილში, დაკრძალვაში, სხვადასხვა სანახაობებში, სპორტში და სხვა სადაც გამოიყენება ხელოვნება მათი ცერემონიების შესამკობად). დაბოლოს იგი დასძენს, რომ ეს ცერემონიები ისევაშორს არიან ნამდვილი ხელოვნებისაგან როგორც პოტრეტები ან პეიზაჟები. ან უანრების მსგავსად, მათი პირველად ფუნქცია ასევე არაესთეტიკურია – ეს გახლავთ გარკვეული ემოციების აღქვრა. მაგრამ ნამდვილი ხელოვანის ხელში (რომლის დაცილება პუბლიკისაგან შეუძლებელია და რომელიც ითხოვს ჭეშმარიტ ხელოვნებას) ისინი ასევე გარდა იქმნებიან ხელოვნებად. თუკი მხატვრული და მაგიური მოტივები განიცდებიან როგორც რაღაც ერთიანი, განავრძობს კოლინგვუდი, ეს აუცილებლად უნდა მოხდეს, როგორც ეს ხდებოდა ორინია-აკისა და მაგდალენას გამოქაბულის ადამიანებში, ძველ ეგვიპტულებთან და ბერძნებთან, შუა საუკუნეების ევროპელებთან. ეს არასიდეს მოხდება, თუკი მოტივები აღიქმნან დაცალკევებით როგორც ეს განუწყვეტლივ შეიმჩნევა ჩვენს წრეში. ასეთია მოკლედ კოლინგვუდის აზრი „მაგიურ ხელოვნებაზე“.

ახლა იმ დაპირებულ მაგალითზე, მაგიურ ქმედებაზე, რომელსაც არ გააჩნია არავითარი საერთო პრატიკულ მიზანთან, „აუცილებელი ან სასარგებლო სასიცოცხლო მოღვაწეობისათვის“. საუბარია ჰარი რაიტზე, ცნობილ მოგზაურზე, რომელმაც მეორე შსოფლიო ომამდე იმოგზაურა მსოფლიოს ყველაზე მივარდნილ ადგილებში, მათ შორის, დაგომეის ჯუნგლებში და რომელთა აღნერილობა დაგვიტოვა წიგნში „ჯადოქრობის მოწმე“. ჰარი რაიტი აქ გვიამბობს ადამიანის ლეოპარდად გარდასახვაზე, რომელ „აუცილებელ ან სასარგებლო სასიცოცხლო მიღვაწეობას“ უნდა დავუკავშიროთ ეს? რაიტი აღნერს, თუ დაფდაფების გრალში და ქურუმთა სიმღერაში, მაღალი გოგონას ცეკვის დროს, მთვარის შუქზე, ჯუნგლიდან როგორ გამოვიდნენ ლეოპარდები. მაგრამ მოვუსმინოთ თავად მას: „დაბოლოს, დაფდაფებმა უფრო ჩუმად და ნებლა ინყეს გრუსუნი და შუაში გამოვიდა ფეტიშის სამი ქურუმი. მათ ხელში ეჭირათ წინილები და თიკანი – რიტუალური მსხვერპლი, რომელთაც შეცვალეს წარსულში აუცილებელი ადამიანის მსხვერპლშენირვა. ცხოველების სისხლი მინას ეწვეთებოდა, ის მაყურებელსაც ხვდებოდა... მთვარე ამომართა ხეების ზევით, და კოცონს იქით რძისფერი შუქით გაანათა არემარე. გოგონა სულ რამდენიმე წაბიჯის დაშორებით იყო ჩემგან, მე ვერავითარ ლეოპარდებს ვერ ვხედავდი, მაგრამ მაყურებელთა მზერა მიძყრობილი იყო არა მხოლოდ გოგონაზე, არამედ მის გვერდით სივრცეზე, თითქოს იქ რაღაც ჩანდა მარტოდნ მათვის დასანხი. ახო განაგრძობდა ჩემ ხელზე ხელის მოქერას. – შეხედეთ, მას მოჰყვება ხუთი ლეოპარდი! მე ვერ გავიგე, სერიოზულად ლაპარაკობდა იგი თუ დამცინოდა. მაგრამ როდესაც მან უეცრად შეჰვირა: „უკან დაიხიეთ ერთი წაბიჯით, თორემ მას შეეხებით“, მე მიგვხდი, რომ ეს ხუმრობა აღარ იყო. სინამდვილეში რაც არ უნდა მომხდარიყო, პრინცი ახო ხედავდა ლეოპარდებს. ფეტიშის მთვარიმა ქურუმმა უფრო ხმამაღლა იწყო სიმღერა. დაფდაფებმა ინყეს უფრო ხმამაღლა და სწრაფად გრუსუნი და უცებ, თვალებს არ დავუჯერე: გოგონას უკან, მთვარის შუქზე, დავინახე ჩრდილი მხეცისა; ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა და სიტყვის თქმაც ვერ მოვასნარი, რომ ჩემს წინაშე გამოჩნდა მოზრდილი ლონიერი ლეოპარდი. ეს შესაძლოა ყოფილიყო ჩემი წარმოსახვა. თუ ეს ასეა, მაშინ მქონია გაცილებით მეტი წარმოსახვის უნარი, ვირე ადრე მიმაჩნდა. კიდევ ირო ლეოპარდი გამოჩდა გოგონას უკან. მათ დიდებულად გაიარეს მოედანი და სამივენი ხეთა ჩრდილში გაუჩინარდნენ. ყველაზე მეტად განმაცვიფრა იმან, რომ სრულიად გარკვევით ვხედავდი ერთ-ერთი ლეოპარდის კბილებში წინილას... დღესაც არ ვიცი, თუ რა ვიხილე მაშინ. ვფიქრობ, რომ ეს იყო ლეოპარდი, უფრო ზუსტად სამი ლეოპარდი. და თუ არა, ეს გახლდათ რაღაც საოცრად მსგავსი ლეოპარდებისა“.

ამ რიტუალს შეიძლება ყველაფერი უწოდო, გარდა პრატეტიკული მიზნისათვის გამოწვეული ემოციათა შედეგი. ჩემი აზრით, აღნერილი მაგიური რიტუალი თავად იწვევს ესთეტიკურ სიამოგნებას და აქ თავად მაგია გადადის ხელოვნებაში.

ახლა ავიღოთ მეორე მაგალითი ჰარი  
რაიტის იმავე წიგნიდან. მოგზაური წერი:  
„ქექა-ქეხილის ცეკვა“ გვევლინება მაგა-  
ლითად უცნაური ჰარმონიისა, რომელიც  
არსებობს ამ ადამიანების პრიმიტიულ  
ჩვევებსა და ბუნების ძალთა შორის. ეს  
ჰარმონია მიუწვდომელია ორგანისათვის  
და გაუგებარია ცივილიზაციული მსოფლიოს  
ნარმომადგენელთათვის, თუმცა,  
იგი უბრალოდ და სრულიად ბუნებრი-  
ვად აღიქმება ადგილობრივ მცხოვრებთა  
ცნობიერების მიერ.

▶▶ გაგრძელება გეგმვები



# ჩყნოსები, ჩურჩული, ჩყნოსები!

ფეხბურთის სულ რამდენიმე ჯადოქარს უდგას ძეგლი მსოფლიოში. პელეს – გაბონში, მარადონას – ბუენოს აირესში, იაშნის – მოსკოვში, ლომბარდესკის – კევვში, ფერგოუსტის – ბანჩესტერში, ტერიო ანრის – ლონდონში, პაიჭაძეს, ლოლობერიძესა და მესხს – თბილისში...


ამას წინათ პარიზში დადგენ კიდევ ერთი ძეგლი, რომელიც შემდეგი იტალიის ქალაქ პიეტრასანტაში გადაიტანეს.

მაგრამ ძეგლიც არის და ძეგლიც, სკულპტორმა გამოაქანდა ცნობილი მომენტი, როდესაც ფრანგმა ზინედინ ზიდანბა იტალიელ მარკო მატერაცის თაური გლიჯა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, რასაც მისი გაძევება და ფრანგთა მარცხი მოჰყვა. ძეგლი საქციულისათვის!

როგორი რაკურსია, როგორი შემობრუნება, როგორი გაქანება. თურმე რამხელა ძალა აქვს საქციელს, როცა ის ჭეშმარიტ ფასეულობას იცავს.

ბერიად მასხელდება იმანუელ კანტის გენიალური ფრაზა: „ორი რამ მაკვირვებს ამქვეყნად – ვარსკვლავიანი ზეცა ჩემ ზემოთ და ზეობრივი კანონი ჩემში“. უდავოდ, სამყაროს აერთიანებს ზეთბა, ეთიკა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ხმა, უფლის „ნარმობადგენელი“ ადამიანში...

დიდგბული ნამია, როდესაც ამ ხმას ისმენ და იცი, რომ ეს ის კანონია, რომელიც ვარსკვლავიან ზეცას ამაგრებს, რათა თავზე არ დაგვექცეს...



გოგი ხარაბაძე

## თაური

### (მიმართვა ბავშვებს)

როგორ ერთ წამს შეეგდო სასწორზე მსოფლიო ჩემპიონობა, ოქროს ბურთი, დიდება, ფეხბურთერები და როგორ გლიჯა მატერაცის თავი მექერდში... როგორ დაგორმა მინაზე... როგორ თავჩაღუნული და მარტოსული, განნირული გადიოდა მოედნიდან და დაუყვა გასახდელის კიბეებს.... ესეც ხომ ნახეთ, არავინ იცის, როგორ შეტრიალდებოდა მატჩის ბედი, მოედანზე რომ დარჩენილიყო... პენალტის აცდენდა? არ ვიცი! არა მგონია...

ამ ერთმა თაურმა დაბუბა საფრანგეთის ნაკრები. მე თუ მკითხავთ, ჩემპიონობაც დაკარგინა, მაგრამ ჯერჯერობით ეს ერთადერთი თაურია მსოფლიოს მესისერებაში, ადამიანი, ფეხბურთელი ლეგენდად რომ აქცია...

### რატომ?

იმიტომ, რომ ამ თაურმა დედისა და სამშობლოს ღირსება დაიცვა. ის, რაზედაც იდგა და მრავალუამიერ უნდა იდგეს კაცის ცხოვრება, თუ შენ გინდა, რომ კაცი გერქვას და შენი ვიღაცას სჯეროდეს, რომ შენით ვიღაც ამაყობდეს, ან ის, რაღაც, ან დედა, ან სამშობლო, ან შენი საყვარელი ქალი...

მერე როგორ კაცურად მოიხადა ბოდიში ასევე მთელი მსოფლიოს წინაშე. ვის მოუხადა?

### ბავშვებს!!!

მომავალ თაობას. ასე არ მოიქცეთო... არა!!!

ასე მოიქცით! ისეთი ოსტატი გახდით, როგორიც ზინედინ ზიდანია, ისეთი ფეხბურთელი და მერე თუ ვინმე დედასა და სამშობლოს შეგიინებთ, საქართველოს ღირსებას შეგილავთ, არ დაფიქრდეთ, ისევე თავდაუზოგავად გლიჯეთ თავი შეგმინებელს, როგორც ეს იმ მელოტმა კაცმა გააკეთა...

ივარჯიშეთ, ბევრი ავარჯიშეთ სხეული, წვართეთ სული და გული, რომ დიდი ფეხბურთელები და, რაც მთავარია, დიდი მაშულიშვილები გამოხვდეთ.

...

ახლოვდებოდა იუდეველთა პასექი და იესო ავიდა იერუსალემს.

ნახა ტაძარში ხარების, ცხვრების და მტრედების გამყიდველი და მეკერმენი მსხვილმარე.

გააკეთა საბლის შოლტი და გამორეკა ტაძრიდან ყველა ფული დაუბნია და მაგიდები აუყირავა.



## „საყვარლის საფლავის ვეძებდი...“

განახლდებოდა სიმღერა და ასე გრძელდებოდა, მანამ ღრმად არ ჩაეძინებოდა. სამართლიანი იყო, ვაჟაპატი, უშიშარი, შეროვნები. ვაგლახად არც თავს დაჩაგვინონებდა ვინძებს და არც სხვას დაჩაგვავდა.

მერე 37 დადგა და ცენტრში გამოიძახეს. ყოველლამე ვუცდიდით მე და დედაზემი გიტარით ხელში, სასიმღეროდ გამზადებულები. ის კი არა და არ მოძიოდა.

სიმღერა მენატრებოდა. მამა მენატრებოდა.

ესროლა, მოვეკალი, ოღონდ დაბრუნებულიყო. არა და არ ბრუნდებოდა.

მერე, ნელ-ნელა, ხმები მოვიდი: როსტოკში ნახეს, სატვირთო მატარებელში, ცმიბირისკენ მიყვადათ.

დედაზემმა ვერა და ვერ მიაგნო ამბის მთქმელს.

ასე მოლოდინსა და გაჭირვებაში გაიარა ბავშვობამ, სიყმანვილემ.

მერე, აგერ უკვე ქორნილებში ვმდეროდი, ერთ მშვენიერ დღეს რომ დაბრუნდა, თექვსმეტი წლის შემდეგ...

და აგერ, რამდენი ხნის შემდეგ, ისევ გაისმა:

სხვა კაცი იყო. არც სახით, არც საქციოლით მაბაჩემს არ ჰგავდა. სულ აიგაზე იჯდა.

მის ბაგეს ლიმილი არ გაჰკარებია. გაცინებული აღარ მინახავს. წამადგებოდა მწოლიარეს თავზე, ეგონა შეინა, მიყურებდა მონუსხულივით. მე კი ვუცდიდ, ვნატრობდი მის მოფერებას, მის ალერსს, ბალნობიდან მონატრებულს, თვალდახუჭული, განაბული...

... მადგა თავზე და ვერ ბედავდა მოკარებას, ისე კი უნდოდა ძალიან, მგონია... ასე იბორიალა სახლში რამდენიმე თვე და მერე ლოგინად ჩავარდა. განვალდა. ლმერთო, ნუ მინენ და, დაიტანჯა დედაზემიც, ვინ არ მოუყვანა, რა არ მოუტანა... არ ინდომა არაფერი.

ერთ საღამოს დაგვიძახა. გვანიშნა, დაჯექითო. ჯერ რაღაც ნაცრისფერი მზერით კედელზე ჩამოკიდებულ გიტარას გახედა, მერე დედაზემს...

და აგერ, რამდენი ხნის შემდეგ, ისევ გაისმა:

„საყვარლის საფლავს ვეძებდი...“

ოღონდ, ახლა სხვა ადამიანები მდეროდნენ: სამყალი, გაუბედურებული, დაჩანანაკებული ქალი და ყანამი ხელუბატყავებული, უმამოდ გაზრდილი ბიჭი.

მსმენელიც სხვა იყო: გამხდარი, გაძვალტყავებული, დიდ შემინებულ თვალებად დარჩენილი მამაკაცი, არაფრით რომ არ ჰგავდა იმ მაუზერიან ვაჟაპატი, შემის ზარს რომ სცემდა კონტრრევოლუციონერებს.

არც სიმღერა იყო ის, გალეულიყო თითქოს, გამმრალიყო...

ბოლობი, ულვაშის ქვემოთ, ლიმილი დაგვამინიერ, სამუდამოდ რომ შეეყინა მის ტუჩებს.

არ ვიცი, სიამოვნების ლიმილი იყო, თუ თავის მაუზერიან ყმანვილკაციას დასცინოდა... ან იქნებ... გადასახლებაში გატარებულ ნლებს, სიცოცხლეში არც ერთი სიტყვა რომ არ დასცდენია მათზე.

არის, ვისთან იზიარებ ლუკას, თუმცა, სუფრაც არაზეულებრივი იყო.

სადილის შემდეგ ბატონი გოგა ჯდება თავის „გაზ-24“-ში (მაშინ ეს მოდელი ყველაზე ელიტარულად ითვლებოდა) და მიყვავართ სპეციალიზებული.

მანქანას ზედ თეატრის კართან აჩერებს. ერთ-ერთი უბილეთო მოვარდება და სასონარკევეთილი ეკითხება საჭესთან მჯდომას:

– ზედმეტი ბილეთი ხომ არ გაქვთ, შემთხვევით???

– არა, სამწუხაროდ...

პასუხობს თბილისურად, სიამაყით სავსე მასესტროდა მანქანას ადგილიდან ძრავს.

იმ დღეს გადაწყვეტილ გორგო ტოვსტონგოვეს 60 წელი უსრულებდობა!

და აი, კიდევ ერთი მაგალითი, შეიძლება არატრადიციული, ცოტა გიშურიც, მაგრამ ჩემთვის ძალიან მისაღები! ახლობელი! სასწაულმოქმედი დიდი მიშაჭიაურებილი – შემოქმედი, კაცი-უერვერკა, ნიჭითა და სიცოცხლით გაფერებული, მარად ახალგაზრდა, საოცარი. არაფრერს ვიტყვი თვითონ საიტილეო საღამოზე, მინდა ბანკეტს შევეხო, რომელიც მეორე დღეს, შუადღით დაიწყო.

მოსერებილის ქუჩის ბოლოში, თბილისში მაშინ ყველაზე დიდ საბანეტო დაბაზში, უზარმაზარი გამორიც და მარჯვანიშვილის თეატრის მსახიობი ქალბატონები ემსახურები. უზარმაზარი დაბაზში, უზარმაზარი დაბაზში, უზარმაზარი დაბაზში, უზარმაზ



## თირა

### მე

ჩემი ბაგები წყალმარჩხის მდინარეებია,  
ისინი ყოველ ჯერზე მკვდარ სიტყვას  
ჩამოატარებენ,  
შენ დგახარ ბოლოში, მათ პატარა დაგუბებასთან  
და ჩამოტანილ გვამებს უკან აპრუნებ.  
ჩემი ხელები - დაგლევილი ლიანდაგები,  
დღე და ღამე მიწაში იხედებიან,  
ტყე, როგორც საყვარელი ცოლის სითბო  
პერიოდულად ფოთლებით ფარას,  
მაგრამ ზამთარი, ცივი ბრნივიგალებით  
მოდის ხოლმე, ჯდება სათითაოდ ყველა ძარღვზე  
და  
ჩემი სისხლიც თხელი კანის ქვეშ,  
(როგორც დრო-სეზონს)  
თავის თავს უპირობო ვალდებულებად  
ჩამოატარებს...  
ჩემი თვალები - დღეების ტავტოლოგია,  
არაფრად ულირთ სინათლე,  
თავიანთ ბუდეებში შეკეტილებს  
ერთმანეთისაც ალარ სჯერათ;  
“ვუხურავ კარს და ისეთი ძალით ვკეტავ  
რომ ღმერთიც ვედარ შეაღწევს...”  
ჩემი ფეხები - რა მეთქმის -  
ისინი დგანან მთებივით, მუჳამედს ელოდებიან  
და სიჩუმე - ხიდივით გადებული ჩვენ შორის  
დახუფულ ქილაში გამომწყვდეულ  
პეპლის ფართხალს ჰგავს,  
ბოლოს ეშვება ფსკერზე...

### მე

შენი ნაკვთები - დანგრეული სახლის აგურები,  
ალარაფერი აქვთ მოსაყილი,  
შენი თვალები - მძიმე მტევნები,  
მუდმივად დაბლა იყურებიან,  
მიწა ზეცაა მათთვის.  
შენი ტუჩები - წითელი ბროშურა:  
ვერცერთ გვერდზე ვეითხულობ ღიმილს,  
ვუყურებ მათ და როგორც ღმერთი - ცოდვებს,  
ისე ვეჩვევი.  
შენი ტანი - კედელზე წვიმისგან გაჩენილი ლაქა,  
თვალებში ამომდის, ღვივდება და ბრაზს იყიდებს  
ხავსივით.  
შენი ხელები - ჩემს სხეულზე მიტოვებული  
ორი ლოდი, მონუსურებულს ხანდახან  
მირაჟად რომ მომერვენება...  
შენი სათქმელი გალიაში მკვდარი ჩიტია;  
- გინდა - გაულე კარი,  
- გინდა - სამუდამოდ შიგნით ამყოფე.  
შენი არსებობაც - უბრალო ამბავი,  
ერთი მუჭა,  
ერთი მტკაველი,  
უცებ ამოვარდნილი ქარი,  
ხეებს რომ სიზმრად შეაშრებათ ტოტებზე.  
და ვფიქრობ, რომელი უფრო მარტო ვართ:  
მე - რომელიც ვგრძნობ რეალობას,  
თუ შენ - რომელიც ვერ ამჩნევ?!

### ჩვენ

- ერთი ჰაიკუ:  
მაგიდა.  
ორი ცარიელი ჭიქა,  
არაფრით სავსე.

## ხელები

დღეები ჭამენ ყოფნის მოტივებს,  
მაძლარია ყოველი დაღამება,  
ჩემით,  
შენით,  
ქუჩების უსახელო კადრებით,  
სადაც უცხოვრიათ, ან გაუვლიათ  
ალარ რჩება ადგილი სიცარიელისთვის,  
რომ ჩამოჯდე,  
სიჩუმეში გადაგიფრინონ ფიქრებმა,  
როგორც ფრიველებმა,  
თუნდაც შემოგაკვდეს რომელიმე,  
ხელები ჩამარხო,  
თუნდაც იყოს თვალების ახელა,

როგორც ეპილოგი,  
გამოიდარე თუკი შეძლებ,  
ცალი სულით შეხვდი მერცხლების წასვლას,  
დაიშალე სიტყვებად რომ დაგიტიო,  
მტევრივით ნუ დაიმარცვლები,  
ქარების მეტი რა არის,  
გაიხედე ჩემს თვალებში,  
მოცელილი წვანან ამინდები,  
პირიდან აბზაცებად გადმომდინა ადამიანები,  
და მდინარეა ყველა გრძნობა,  
მზით ნუ შეხვალ,  
ნაპირზე დატოვე,  
რომ იცოცხლო.  
ჩაუარე ყველა ანონსივით გამოცხადებულ  
ატუზულ დერეფანს,  
ავი ძალებივით იციან დადევნება,  
მაგრამ სმები, ხმები რჩება  
ისეთი, როგორც „ყვირილი“ ხიდზე,  
ჰაიკუებად ჩამოდის ღმერთი  
და ხელისგულებზეც ვერ ეტევა,  
სათქმელია განაჩენივით მძიმე,  
კითხვებსაც არ აქვთ ხმელეთი,  
ვყრით ანგესებს  
და მაინც დღიდან- დღემდე არაფერი ეტყობა  
თასს..  
მე ვერ შევძელი,  
მდინარეებად გადავნაწილდი,  
ოქროსფერი მიყვება ნაპირებს...



ნატვრის ხესავით ამოსულ შუქნიშის წითელში  
ხაზის გასწრივ უხმოდ ვჩერდებით..  
ზედმეტია სიტყვები და ხმა,  
რომელიც არაფერს ამბობს.  
აქ უბრალოდ უნდა იდგე, როგორც ტყეში რიგითი ხე,  
და წარმოსახვაში დაუშვა შენი ფოთლების სხვა  
ნაპირი.

### #2

მგზავრებით დატენილი ოთახი, ბრმა მცენარეებით  
გადანაწილებული ყველა კუთხეში,  
სადაც არ სუნთქავს სიჩუმე და ყველაზე მოხუცი  
კაცი  
(მათ შორის) ხედავ წარმოსახვაში როგორ იღებს  
რუპორს  
დგება შეშლილი სახით საათის წინ  
(საათი წყვეტის მოძრაობას)  
და უყვირის, რომ უმაქნისია მისი ბამბუკის ისრები  
და დროა გადატყდნენ!

### #3

ქუჩებში სადაც არ წყდება მოძრაობა  
და აკიდებული ჩრდილი, როგორც ტარაკანა  
ტერფების  
სამინელი სუნი ჰქონია უსიტყვობას, ვფიქრობ  
და არცერთი არ ვიძეროთ ადგილიდან.  
ხელებიდან ჩუმად გამომყავს შიში, მან არ იცის გზა  
და მტრედივით ვუშვებ გარეთ,  
ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო მეტად დავრჩეთ  
მარტო,  
კედლებს ავაფაროთ ბოლო სიზმარი, სიბნელის,  
მაგიდებს დაუსხათ წყალი, რომ გაიზარდონ,  
გასცდნენ ქერს,  
ტელევიზორიც ზურგშექცევით დავდგათ  
და ნათურებს დავთხაროთ თვალები, სანამ  
ამოგვწვავენ  
-ასე ჯობია.  
მე კი უფრო მარტივად მოვალ, შენს გამომშრალ  
ყელთან  
შენს დიდი ხენის წინ გარდაცვლილ ხმაურთან,  
უჩემობასთან,  
მარტივად მოვალ  
და გაგიმეტებ.

### #1

იდექი,  
თმებში.  
ჩვენ ვუყურებდით მატარებელს, როგორ  
სცილდებოდა ლიანდაგს,  
თავზე თეთრი ალმით და უჩინარდებოდა ყოველ  
შაბათ დღეს,  
კვირიდან კი რელსები იწყებდნენ გაქრობას.  
არაფერს ვამბობდით.  
არც მაგიდასთან.

არც კიბებზე.

არც სახლის წინ.

მხოლოდ ვუსმენდით შორეულ ექის, რომელიც  
ძლივს აღწევდა ჩვენამდე  
და მოსვლისთანავე ბოლივით იშლებოდა  
ყურებთან.  
სანამ შენ წაიყოლებდი საზღვარს, როგორც  
ჩემოდანს და  
ზურგს დღეებივით ამომიყვანდი თვალებში,  
მე ჩავრთე რადიო და ოთას მოვუყევი ისტორია,  
რომელიც ჯერ არ დაწერილა.  
ისტორია, თუ როგორ ვუშვებდი მატარებელს,  
როგორ ვშლიდი მაგიდას,  
როგორ ჩამოვდიოდი კიბებზე,  
როგორ დავდიოდი ოთახიდან ოთახში, მარტო  
შენ კი ჩემთან ერთად იმეორებდი იგივეს,  
ოღონდ ათასი კილომეტრის იქით  
და ეს იყო სწორედ ის მიზეზი, რის გამოც  
ჩვენ ვხედავდით ერთმანეთს...

## აქლება მიღორი

(ანუ ცალი თვალის კადრები)


### #4

ღამე, როცა  
მეზღვაურები მღერიან „თევზის სიმღერას,“  
მშიერი ბადეების კალთებქვეშ,  
და გარშემო დგას სახლის სუნი,  
გაყვითლებული ლოვინის, კარს აკრული  
ნესტიანი მზერა დასდით კანზე,  
ზღვის ტალღებს კი, როგორც მუდამ მყეფარე  
ძალებს,  
სძინვით თავიანთი თავის მყუდროებაში-  
სწორედ მაშინ ყველაფერი ხდება მარტივი,  
წერილებიც, რომლებიც არასდროს იგვიანებენ,  
თუნდაც მანძილი სიმღერეში გაჰკიოდეს თავის  
თავს,  
უსასრულობის ბოლო შეგრძნებით,  
ჩვენ მაინც ვაგნებთ საერთო გზას და









## ალი გუგუციძე

### არის ნიშანი დარისა

ეძღვნება ბატონ ბიძინა ივანიშვილს  
„... და ორიათას თორმეტში  
(ანუ შემდგომად ცხრა წლის)  
კეთილმან სძლია ბოროტსა“, –  
ჟამთაღმწერელი დაწერს.

– კეთილმან სძლია ბოროტსა! –  
სარკმელს მოაწყდნენ ხმანი,  
რაკი გამრთელდა ვადაში  
გადატეხილი ხმალი.

ვით არაერთხელ წარსულში,  
დარდი კურნებად წაგალს,  
და გამოაღწევს სინათლე  
ბინდისფერ შრეებს: წკარამს.

დროის ურჩია ვეფხვის და  
მოყმის ცხოვრების წესი, –  
ბრძოლის ველიდან არ წავა  
ქვეყნის ერთგული მწყემსი.

ხეს ცხოვრებისას გამოაქვს  
კარგი ამბების კვირტი,  
არის ნიშანი დარისა, –  
მზე მაღლა-მაღლა მიდის.

### გაკვეთილი პირველი

(ციკლიდან „მგლები“)

ახლა ყველამ კარგად უწყის, –  
დარია თუ ავდარია, –  
მგლის ცხოვრების კარგად ცოდნა  
არ აწყენდა ადამიანს.

კარგი პირი უჩანს მერმისს ...  
ნარმატება ელით კაცებს,  
მგლებთან ერთად პურის გამტეხს,  
მგლებთან ერთად ჭიქის ამწევს.

გაიარეთ სწავლის კურსი,  
დროს ამაოდ რატომ აცდენთ,  
გააკეთოთ კაცის საქმე,  
მაგრამ მგლებსაც შეენაცვლეთ.

ამაყად და გამართულად  
ვერსად წახვალთ, ვერსად ივლით,  
გლეჯვა-წენვის კანონები  
თუ არა გაქვთ შესწავლილი.

პირი გიჩანთ სავარგისი,  
რაკი ჰგავხართ ზაფრის დამცემს,  
რაკი უპირატესობას  
მტაცებლობის უნარს აძლევთ.

თავი ჩრდილს არ შეაფაროთ,  
გაუძელით ალხს და სიცხეს,

თავხედობის ჩასწვდით არსში,  
თუ ცხოვრებას ახლა იწყებთ.  
გაუმაძღარ ხორვისაგან  
რომ არასდროს გაირიყოთ,  
ყველა სიკეთესთან ერთად,  
ულმობელი უნდა იყოთ.

და როცა მსხვერპლს გამოიჭერთ,  
ძვალს ხორცისგან რატომ არჩევთ, –  
კბილით უნდა გლეჯდეთ ყოველს,  
ნივთმტკიცება რომ არ დარჩეს.

ალბათ თავად მიხვდებოდით,  
თუ ჩემს ნათქვამს კარგად უსმენთ, –  
ყველა მგლად არ გამოდგება,  
ვინც ამთავრებს მგლობის კურსებს.

### ჩემო მამულო!

ვერც ერთხელ !!!  
ვერა!..  
მხდალნი ვერ გვნახეს  
ან სამარცხვინო ძელზე გასმულნი...  
... ის ჩვენს სულმია, როგორც ვენახი –  
ჩვენ საძებნელი არ გვაქვს წარსული ...

ბევრჯერ ვიქტე... ბევრჯერ... ო, ბევრჯერ  
საბედისწერო ბრძოლად შევგროვდით...  
როგორც აღებულ ციხის კედლებში,  
შენს სიყვარულში ისე შევრბოდით!

სულის სიღრმიდან „ვაშად“ ისმოდი,  
შიგ იმსხვრეოდა უამი ხეშეში...  
შენს სიყვარულში ქუდებს ვისროდით,  
როგორც აღებულ ციხის კედლებში!

ასე მგონია, ვძლიერ ალქაჯებს,  
მაგრამ, რა ხდება?..  
ვძლიერ?!.  
ვინ იცის...  
კიდევ კარგი, რომ სული გვდარაჯობს  
და წინაპრების დროშით მიგვიძლვის!..

### ხვედრი

„ვინ გაიგებს შენს ძახილს,  
ძახილს ვინ დაიჯერებს?“  
გალაკტიონი

აზრის ღვთიურ სიმაღლეს  
ერგო მსხვერპლად შენირვის  
ბედი. ისახებოდა  
კონტურები წარღვნების...  
და ბოლავდნენ გვიანი  
შემოდგომის ძენძივით  
ჩვენი უბედურების  
ჩამომსხმელი ქარხნები.

ყველა სადგურს იკლებდნენ  
სმები დაფეხვილების...  
ვილაც თავზარდამცემი  
ახლდა ლამეს კუნაპეტს.  
იგი მიუძღვებოდა  
ყვითელ ნაფეხურებით  
აზრებს – შეჩენებამდე  
და გზას – წყევლა-კრულვამდე.

ჟამის წყალნაღებულის  
საზარელმა ხავილმა  
ცა წაართვა სარწმუნოს:  
საამსოფლო ჩანაფიქრს...  
სულმა იცის შეძრულმა,  
თუ რა სანახავია  
ხალხის ერთგულ შვილების  
სამოსელში ჯალათნი...

შიშით შეძლო იმედმა  
გარდასახვა: ცახცახად,  
ვაჟკაცურმა სინდისმა:

ყმობა, დამათხოვრება,  
სიძულვილმა უბირმა:  
სიყვარულის დაძრახვა,  
უფსკრულების შენებამ:  
ჩემს მაგივრად ცხოვრება!..

ბნელმა გადაინახა:  
ხვედრი დაუზოველი  
და საეჭვო ნუგეში –  
ფერი უცხო საგნისა,  
ფიქრის, ფეხის და სულის  
აღებული ზომები  
კლიტის ჭუჭრუტანიდან  
შემომძრალი მზაკვრისგან.

ზღვიდან გამოირიყა:  
მძმორი შავი სეიფის,  
ჯვარცმით შეწყალებული  
ფრთადაჭრილი კრებული,  
ყვითელ სარკოფაგების  
ჩირაღდნებზე ზეიმი  
ეკლესის დარბეულ  
ბჭებს შეხეთქებული,

ზარი ბერწი სამოთხის,  
ქარი ენის ტარტარის,  
შურის, უმაღურობის  
და დასმენის ღვარცოფი,  
ცის კარდაბულ ზრიალში  
მოხითხითე სატანა –  
ჩვენი უბედურების  
გამტანი და გამვრცობი.

გაჰკიოდა დუმილი  
მოყვასის და მოძმესი,  
ხატზე გადაცემული  
დარდს ეჭირა მაღლობი,  
ღამურების შრიალში  
გრძელდებოდა პროცესი  
სივრცის მახებად და  
ხაფანგებად დაყოფის.

ბევრს არაფერს ნიშნავდა  
ხმა ბუდიდან აყრილთა,  
არც ის: ყულფი გასკვილი  
ანდა გამოსასკვნელი,  
ძარღვგანყვეტილ სინდისს და  
თავზარდამცემ განკითხას  
სეიფების მუცლიდან  
გამოჰქონდათ დასკვნები.

წესმა დაისადგურა  
ხელუკულმა ბერტყვისამ,  
შიში გააზულება  
სისხლმა შუბლზე შემხმარმა...  
რაღა მართვა უნდოდა  
ჯადოქარის კვერთხისგან  
სარგადაყლაპულივით  
გაშეშებულ ქვეყანას...

ვიღაც ფრთებად სახავდა  
სახსენებელს აუგად,  
სულით უფრო გონჯსა და  
უსისხლხორცოს მეტ-ნაკლებ...  
იქნებ ვინმეს გახსოვდეთ...  
იქნებ ვინმეს დაუდგამს  
მოდგმის დაძაბუნების  
უკეთესი სპექტაკლი!..

... ისევ ცრემლის ზღვისაკენ  
ილტვის მათი ესკორტი...  
... სანამ შევძლებთ იმედის  
კვლავ ტაძარში შეყვანას,  
სანამ დროა, შეიცან  
შენს სისხლად და შენს ხორცად  
ჭურში მსხდომთა ტაშისგან  
დაქცეული  
ქვეყანა...



► არა, შეიძლება თავიც უყოფმანოდ  
მოკევეთათ. – ჩვენ, აქ, ფეხებს მხო-  
ლოდ პოლიტიკური ნიშნით რომ  
ვკვეთდეთ, ამ ნაგავს ორივე ფეხი დიდი  
ხანია მოკვეთილი ექნებოდა. – ზენარგა-  
დაფარებულს ზიზღით გადახედა. – მე  
მესმის, რომ ძნელია საკუთარი ფეხის და-  
კარგება, მაგრამ სამშობლოს სამასხური  
ხომ ცალი ფეხითაც თავისუფლად შეიძ-  
ლება. აი, მაგალითად, ჩვენს კოჭლამა-  
ზოვს ცალ ფეხზე პროთეზი აქვს, მაგრამ  
სამშობლოს სადარაჯოზე უფრო მყარად  
დგას, ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევია  
უკან და ზოგიერთებივით მტრისთვის  
ზურგი არ უჩვენებია. – ვიცე-პოლოვნი-  
კი მკვეთრად, ერთ ადგილზე რაღაც უც-  
ნაურად შებრუნდა და კარისკენ კოჭლო-  
ბით გაემართა, კოჭლამაზოვი კა მწყობ-  
რი ნაბიჯით ისე მხნედ გაჟყვა, პროთეზი-  
სა არაფერი შეტყობისა და რაში დასჭირ-  
დათ ასეთი ტყუილი, ესეც სრულიად გაუ-  
გებარი დარჩა.

ლიან გრძელი დერეფანი და უზარმაზარ, განათებულ დარბაზში აღმოჩნდა, კედლის გასწვრივ ჩამნერივებული ზენარგა-დაფარებული საწოლები დაინახა და რა-დაც უცნაური ხვრინვა ჩაესმა, თუმცა მხვრინვა აქ არავინ ჩანდა და, ცოტა არ იყოს, შიშმა შეიცყრო. კარისკენ გაემართა, ეგონა, გარეთ გააღნევდა, მაგრამ კარს მიღმა სიცარისლე დახვდა და კიდევ ერთი ნაბიჯიც რომ გადაედგა, პირდაპირ ჩაბნელებულ ეზოში გადავარდებოდა, როგორც ჩანს, ზედა სართულზე იმყოფებოდა. უცნაური დარბაზი დატოვა, გაიარა ისევ ის ჩაბნელებული დერეფანი, უმოაჯირო კიბით კედელ-კედელ დაეშვა დაბლა, ძლივს გამოიაღო რკინის მასიური, როგორც ეგონა, გარეთ გასასვლელი კარი და სუსტად განათებულ, უფანჯრო, ბეტონისიატაკიან საკანში აღმოჩნდა. აქ ცივი, ნეტიანი ჰერით გაუღლენთილ სა-მარისებურ სიჩუმეს მხოლოდ საათის მონოტონური წიკნიკი არღვევდა, დაობებული კედლები მოათვალიერა, მაგრამ საათი ვერსად აღმოაჩინა. ზენარგადაფარებული რკინის საწოლის წინ დატოვებული ვიღაცის ბოლოჩაკეცილი, ნახმარი ფლოსტები უცნობი პატიმრის ხსოვნის ნიშნად და ვიცე-პოლკოვნიკის მუქარის დამადასტურებლად ჩათვალა, როგორც ჩანს, სწორედ ამ სანამებელ საკანში აპირებდა მის გამწესებას, სწრაფად მიბრუნდა, თუმცა კარი უკვე დახურული დახვდა, არადა, ნამდვილად ლი დატოვა და, გაუგებარია, ვის უნდა მიეხურა, ვაითუ აქედან ვეღარ გავაღიოო და ისევ შიშმა აიტანა. მძიმე კარს ჯერ ორივე ხელით მიაწვა, მაგრამ ძრაულ ვერ უყო, სულის მოსათქმელად მცირე ხნით შეისვენა, კარს ახლა ზურგი მიაბჯინა, ერთიანად დაიძაბა, მთელი სხეულით მიაწვა და, როგორც იქნა, ოდნავ გამოიაღო, ვინრო ლიობში გაძრომა რის ვაი-ვაგლაბით მაინც მოახერხა, ქოშინით აათავ კიბე, კოჭლობით, რამდენადაც შეეძლო სწრაფად გაიარა გრძელი დერეფანი, სუსტად განათებულ ჰოლში მასიურ კარს მიაწვა, ბოლოს და ბოლოს გააღნია გარეთ და შევბით ამოისუნთქა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ამ უცნაური შენობიდან გამოსასავლელს ეძებდა, არ მოსცილებია იმის შეგრძება, რომ ვიღაც უთვალთვალებდა და ეს შეგრძება გარეთაც გამოჰყება. არადა, შეუძლებელია, რომ ამ გაუგებარ, ოთხსართულიან შენობაში მხოლოდ სამი ავადმყოფი, ის საეჭვო ვიცე-პოლკოვნიკი და კოჭლამაზოვი ყოფილიყვნენ, ფასადს თვალი შევალო და შავი გრანიტის ფილა აღმოაჩინა, რომელზეც დიდი, ოქროსფერი ასოებით ისეთივე გაუგებარი, უცხო ნარწერა ამოიკითხა: „ZOSTERBREDCAR-ZER“, ეს ვიცე-პოლკოვნიკის ნათქვამ, განაჩენივით მძიმე იმ სიტყვას მიამსგავსა, ბურანში მყოფს რომ ჩაესმა, ბარებქართულად, ყველასთვის გასაგებადაც მიენირაოთ, მაგრამ ამაზე იქრის არო

აღარ იყო, ხევბით დაბურული ეზო გაიარა, რომელილაც შენობას მოეფარა, სული მოითქვა, დარწმუნდა, რომ არავინ მოჰყვებოდა და კოჭლობით გააგრძელა გზა.

ჩაბნელებულ, დაცარიელებულ ქუჩებში კაციშვილი არ ჩანდა, უზვეულოდ გარინდებული ქალაქი ავისმომასნავებელ სიჩრუმეს მოეცვა და ამან უფრო ააფორია, ნაბიჯეს აუჩქარა, მერე იმ სკოლასთან; უფრო სწორედ, სკოლის ნანგრევებთან აღმოჩნდა, გაახსენდა, რომ მაშინ ავტომატის გამოსატანად სკოლაში შეძრუნება ველარ მოასწორ და სწორედ, ამან გადა-არჩინა. იქაურობას ისე სწრაფად გაეცალა, თავადაც გაუკვირდა რომ უკვე აღარ კოჭლობდა, აბა, რა მჭირს მე მოსაკვეთიო, თითქოს შეეკამათა იმ ვიცე-პოლუ-კოვნიეს და გიშიმიტრელს და კიდევ უფრო აუჩქარა ნაბიჯეს. უკუნეთში, როგორც იქნა, მიაგნო ბიძაშვილის სახლს. ფანჯრები აქაც ჩაბნელებული იყო, ალბათ, ეძინათ შენუხება მოერიდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რეზერვისტის სფორმიდან შეიძლება სამხედრო პოლიციას აეყვანა, დამე სადმე ხომ უნდა გაეთია და ზარი დარეკა. ბიძაშვილი, საბედნიეროდ, სახლში დახვდა, უაბო, რაც გადახდა, მისი გან კი შეიტყო, რომ რუსები გორში შემოვიდნენ, კასპს მიადგნენ, როგორც ჩანს, თბილისშიც აპირებდნენ შესვლას და ან ამბავმა ისე დათრგუნა, მთელი დამე ამაზე ფიქრში გაატარა, დილით კი ბიძაშვილის ტანსაცმელი ჩაიცვა და მეზობლის მიეროვტობუსით თბილისში გაემგზავრა.

მანქანაში კიდევ სამი კაცი იჯდა,  
წვერმოძვებული, მოღუშული მამაკაცი  
წითელმასისურიანი ახალგაზრდა და სამ-  
ხედროფორმიანი კაპრალი, რომელსაც  
მკლავი ქამრით კისერზე ჰქონდა ჩამოცი-  
დებული.

— გოგორელიშვილი მოკლეს, ბიბილუ-  
რიძე გაიქცა, ოჩიგავა დაიჭირეს, — თა-  
ვისთვის ისე ჩაილაპარაკა კაპრალმა-  
რომ ფანჯრისთვის თვალი არ მოუცილე  
ბია.

ხმა არავის აძმულია, ხმოლოდ შძლოლ-  
მა ხმაურიანად გადააფურთხა ფანჯრი-  
დან და სიგარეტს მოუკიდა.

— გოგორელიშვილი მოკლეს, ბიბილუ-  
რიძე გაიცა, ოჩიგავა დაიჭირეს, — ცოტა  
ხნის მერე თითქოს თავის თავს გაუმეო-  
რა.

თანამდებობა მოიწვინა. რომ კაპრალო

და მოგვიცებული იქნება, რომ კათას და  
მთლად ისე ვერ უნდა ყოფილიყო და  
კითხვის დასმა მო-ერიდა, მაგრამ მცი-  
რებნის მერე, როცა იგივე მესამედ გაიმე-  
ორა, რა მოხდა კაცო, იქნებ ჩეუნც გვითხ-  
რაო, შეეკითხა.

— საშინელება... — სხვათაშორის, ხმა-  
დაბლა, ფანჯარაში თავისთვის ჩაილაპა-  
რაკა იმან, ცოტა ხნის მერე კი თითქოს  
გამოიხილოთა. — დობოვაია როშჩაში ვი-

გილოცას სტრატეგია. – დუკუმენტის მიზანისათვის კულტურული დექიო, ცხინვალთან... სამეთაუროსთან კავშირი განყდა, ნინ უნდა წავსულოსაცა.

ვით თუ უკან, ვერაფერი გავიგეთ... – ისევ  
გაჩქმდა, ეტყობა, გახსნება უჭირდა. –  
საშინელი სიცხე იყო, მე და ბიბილურიძე  
წყლის მოსატანად წავედით, რუსმა როშ-  
ჩა დაბობდა.. გოგორელიშვილი მინაზე  
ეგდო, მისი ფეხი იქვე... – გაჩქმდა და  
ისევ ფანჯარას მიაჩერდა.

- საზარბაზნე ხორცი, - ჩაილაპარაკა  
მოლუშულმა, დანგრაძემ კი უნებლიერ  
ფეხზე მოისვა ხელი.

– ଦୀକ୍ଷିଲ୍ଲୁଗ୍ରାମେ ଘାୟିତ୍ରା, ମେ ଫକ୍ରିଲ୍ଲେବୋ  
ଗାମନମ୍ବ୍ୟାବ୍ୟା... ଡାଗ୍ବେଳମଥ୍ରେ ... – ଗ୍ରଂଥାବଳୀ  
ଫ୍ରେମିଡା, ମେର୍ରେ ଉତ୍ତର ଧାଉଣ୍ଠା ବମାସ. – ଗନ୍ଧୀ  
ଶେ ସାଙ୍କେରାତ୍ମିନ୍ଦୀ ମନ୍ଦିରାଦି, ହେମି ଗାସିଲ୍ଲା-  
ଲ୍ଲିନ୍ଦ୍ରାନ୍ଧୁଲୀ କେଲି ଧାବିନାଥ୍, ରାଜାତ୍ମି ପ୍ରଭୁଦେ  
ମିତିର୍ବେଦନ୍ଧୀନ୍, ତ୍ରିରାଜାଲା ଲାନ୍ଦନ୍ତ୍ରେତ୍ରି ତୀରଦା-  
କିନ ସାବ୍ଦୀଶି ବେଶରଙ୍ଗେ ନମାସ... ନେମିଶି ମାତ୍ରା-  
କ୍ଷେ... ଗାମତିଶ୍ରେ... ମେର୍ରେ ଗାମନ୍ଦିନ୍ଦ୍ରୀତ୍ରି... କ୍ଷେ-  
ଲି ଶେମରିହା, ସାମାଗ୍ରୀରନ୍ଦ.

კაპრალის მოხაყოლი ძალიას ჰეგვადა  
იმას, რაც თავად გადახდა, ამისთვის ხე-  
ლი უნდა მოეკეთათ, მისთვის – ფეხი,  
უნდოდა გაეგო, ესეც იმ გაუგებარი და-  
ნიშნულების შენობაში ხომ არ იწვა, სა-  
დაც თვითონ მოხვდა, მაგრამ გრანიტის  
აბრაზზე ამოკითხული ის უცხო წარწერა  
ვეღარ გაიხსენა, განაჩენივით მძმე  
სიტყვას რომ წააგავდა და იმ დაცარიე-  
ლებულ ჰოსპიტალში ხომ არ იწექი, ცო-  
ტათი საგიჟეოს რომ ჰეგვადაო, შეკეითხა.

- აპა, რა მახსოვეს, კანტუზია მქონდა....
- მცირე ხანს ფიქრობდა, მერე ჩამოკიდე-ბული ხელი გაისწორა და დანგრაძეს გა-მოხედა.

- საგიშეთი იყო... ნამდვილი საგიშე-

ତି... ଧରେଲୀ ଠାକୁଳିଓବି ହାବେନ୍ଦ୍ରେ।  
ଇଶ୍ଵର ଜାନଙ୍ଗାରାମୀ ଗାନ୍ଧୀଫା ଏବଂ ପାରିହା-

- გოგონელიშვილი მოკლეს, ბიბილუ-  
რიძე გაიქცა, ოჩიგავა დაიჭირეს... რატომ  
დაიჭირეს ოჩიგავა? - კაპრალმა ისე გა-  
მოხედა, თითქოს მისგან ელოდა პასუხს.
- ვინ დაიჭირა? - შეეკითხა დანგრაძე.

— სამხედრო პოლიციამ!.. ოჩიგავა დეზერტირია?.. მე დეზერტირი ვარ?.. შენ დეზერტირი ხარ?.. — დაუინძბით მოაჩერ-და, არადა, საიდან გაიგო, რომ რეზერვისტი იყო.

— საზარბაზნე ხორცი, — ისევ ჩაილაპა-  
რაკა მოღუშულმა და უფრო მეტად მოი-  
ღუძა.

მძიმე სიჩუმე ისევ კაპრალმა დაარღვია.  
— გოგორელიშვილი მოკლეს, ბიბილუ-

გრილიუმისადან თელქე, იანილე-  
რიძე გაიქცა, ოჩიგავა დაიჭირეს და ყვე-  
ლაფერს ისევ ჩვენ გვაბრალებენ, მაგათი  
დედაც მოვტყან!

მისი ნაწყვეტი-ნაწვეტ მონაყოლიდან

გამომდინარე, მართლაც, კომოციონ ექნებოდა, არადა, ამ საშინელების მნახველი კიდევ სრულ ჭყაზე რომ იყო, ესეც საკვირველია.

კასპის საგზაო პოლიციის საგუშავოს-  
თან ტანკი და ავტომატიკი რუსი ჯარის-  
კაცები იდგნენ. ხმა არავის ამოუღია,  
მძღოლმა სიგარეტი მიისწოდა, ტანკის-

კენ გადასაფურთხა და ფანჯარა აწია.  
რუსთაველის გამზირი გადაკეტილი  
დახვდა, ხალხით სავსე ქუჩაზე საზიმო  
განწყობა სუჯევდა, ოღონდ, ვერ გაიგო,  
რას ზეიმობდენ და ერთი ხაცნობიც არ  
შეხვედრია ამ ზეიმის მიზეზი რომ ეკი-  
თხა. მთავრობის სახლის წინ შეკრებილი  
ხალხი ტრიბუნაზე მდგომ პრეზიდენტს  
უსმინა.

-...ჩვენ გავიმარჯვეთ, იმიტომ, რომ  
ჩვენი დამარცხება ყოვლად შეუძლებელია, ასე იყო ყოველთვის, დავით აღმაშენებლით დაწყებული და დღევანდელი დღით დამთავრებული და ისიც ჩვენი უდავო გამარჯვებაა, რომ მსოფლიოს დავანახეთ, რუსეთის ნამდვილი სახე, მაგრამ ომი არ დამთავრებულა და საბოლოო გამარჯვება ჯერ კიდევ წინაა, მთელი დედამინის ზურგზე არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც ჩვენი ძლევამოსილი არმიის დამარცხება ძალუბს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, საერთოდაც, შეუძლებელია ვინმებ ჩვენი დამარცხება შეძლოს. გამარჯვა ხალხმა და გილოცავთ ამ უდიდეს გამარჯვებას. ჩვენ ხალხს გაუმარჯოს! აუმარ-ალა!!! აუმარ-ალა!!!









# „ერი სოფს ენის“

ზურაბ თორია

თითქოსდა გასაოცარი არც არის ის, რომ რუსეთის ხელისუფლება საქართველოში თავის დიდპყრობელურ გეგმებს თრასი წლის განმავლობაში ემსირების მეშვეობით შეფარვით და გეგმაზომიერად ახორციელებდა, დღეს კი აშკარად ახმოვანებს და მოქმედებაზეც გადადის, მაგრამ მეტად საჩითიროა ის ფაქტი, ამ ანტიქართულ მოვლენას ჩვენთანაც გაუჩნდნენ მხარდამჭერები და ევროპის სხვადასხვა ინსტანციებში აგზავნიან ე.წ. ჭეშმარიტების დამამტკიცებელ უსტარებს, თითქოს მეგრელები, ლაზები და სვანები ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, მათი დიალექტები დამოუკიდებელი ენებია და ქართველები ამ უმცირესობათა უფლებების დისკრიმინაციას ენევიან.

ამით თითქოს ნათელი ხდება, რომ საქართველოში კუთხეურობის საძრახისი სენი ისევ იწყებს აღორძინებას, მაგრამ, თუ ამ ფაქტს სიღრმისეულად გაავანალიზებთ, მთავარი რამ ერთხელ კიდევ აშკარავდება: ეს პრობლემა გარედან არის შემოგდებული და უმნიშვარ პლიტიკანებთან და მედროვეებთან შეთანხმებით ხორციელდება, რომელთავისაც დედამინის ზურგზე არაფერი წმინდა და მარადიული არ არსებობს.

ისტორიული წარსული კი გვიდასტურებს, რომ ქართული ენა და კულტურა საქართველოს ყველა კუთხის მცვიდრთა პირმშოა. მის ჩასახვას და განვითარებაში ყველა კუთხემ თავისი უდიდესი წვლილი შეიტანა და, მიუხედავად იმისა, რომ დროთა მდინარებაში სიგანურ, ლაზურ და მეგრულ დიალექტებად დაიშალა და, ისტორიული რეალიებიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად დასცილდა ფუძე ენას, ამ კილოებზე მოლაპარაკენი ქართული ენის მაგისტრალური ხაზიდან არასოდეს გადასულა: საუკუნეთა განმავლობაში ერთგულობენ თავიანთ დედა ენას, ამ ენაზე ქმნიდნენ და აზროვნებდნენ, უდიდესი წვლილი შეპქნდათ და შეაქვთ მის განვითარებასა და სრულებაში; არასოდეს გაუცხადებიათ კუთხური მეტყველების ანბანისა და ლიტერატურის შექმნის სურვილი, რადგან ერის მთლიანობა და სიძლიერე იყო მათი მთავარი და მუდმივი საზრუნვა.

შორეული ნარსულიდან შემოგვცექ-  
რიან ქართული ენის უდიდესი მოამაგენი,  
შემოქმედნი, დეადამინის ზურგზე, ალ-  
ბათ, ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი  
ანბანისა, რაც მის უნივერსალურობაზე  
მიგვანიშნებს; ასევე შემოგვცერიან ის  
წმიდა მამები, რომლებმაც მოხაზეს პირ-  
ველი ქართული ანბანი, განავითარეს,  
საფუძველი დაუდეს ქართულ ჰაგიოგ-  
რაფიას, პოეზიას, საერო ლიტერატურას,  
გალობას და გაოცება იპყრობთ, როცა  
თანამედროვე ქართველთაგან მკერებ-  
ლურ მოსაზრებებს ისმენენ. ამისი საჭი-  
როება რომ ყოფილიყო, ისინი საერთო  
ქართულ ენაზე კი არ აახმიანებდნენ იმ  
გასაოცარ შედევრებს, რასაც ქართუ-  
ლი პოეზია, ქართული პროზა და საგა-  
ლობლები ჰქვია. ან რა შეუშლიდა ხელს  
იოანე მინჩხს, იმ შორეულ ეპოქაში მეგ-  
რულ დიალექტზე აეხმანებინა თავი-  
სი ჰიმნები და საგალობლები, ან ფაზი-  
სის აკადემიაში მოღვაწე, ქრისტიანობის  
მსოფლიო მნითობის – ჰეტრე იბერის  
მასნავლებელსა და უახლოეს მეგობარს  
– იოანე ლაზეს ტრაქტატები ლაზურ  
დიალექტზე რომ შეედგინა... ასევე მრა-  
ვალ სხვა სახელმოხვეჭილ თუ უსახელოდ  
გარდასულ მამულიშვილს, რომელთაც  
ქართული ენისა და კულტურის სამსა-  
ვერპლოზე მიიტანეს თავიანთი ცოდნა,  
გამოცდილება, მოწამეობრივი რუდუნე-  
ბა, დარჩენენ ქართული ენისა და კულტუ-  
რის უცნობ რაინდებად და ხმაღმომარჯ-  
ვებულ მებრძოლთა დარად განუმეორე-  
ბელი კვალი გაავლეს ქართული ენისა და

კულტურის ნიყვიერ ნიადაგზე და არსად  
აღუნიშნავთ, რომ მხოლოდ თავიანთი  
კუთხის განსაღიძებლად იღვანეს. მათ ეს  
უანგარო შრომა ერთიანი ქართული ენი-  
სა და კაზბულსიტყვაობის განვითარებას  
მიუძღვნეს...

ქართულმა ენამ მეოცე საუკუნის რუ-  
ბიკონს გადააბიჯა. უკან დარჩა უთანასა-  
წორო ბრძოლებისა და ქარტეხილების  
საუკუნენი. ამ ბრძოლებში საკუთარი,  
თავისთავადი სახე ჩამოძერნა. — იგი არც  
ერთ სხვა ენას არა ჰყავს, მისი ანბანი მო-  
საზულობით თითქოს მარტივია, მაგრამ  
მშვენიერია და უნიკალური. მრავალმა  
ქართველმა პოეტმა დედაენას არაერთთი-  
აღფრთოვანების გამომხატველი სტრი-  
ქონი მიუძღვნა...

იაკობ გოგებაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით წერს:

„მეგრულთა ტომი ქართულ ენას ყოველთვის თვლიდა თავის მშობლიურ ძირითად ენად, ხოლო თავის ადგილობრივ დიალექტს უცქეროდა როგორც მშობლიურ კილოს“ (იაკობ გოგებაშვილი, „მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის“, 1903).

ამბროსი ხელაა კი აღნიშნავს: „ცდი-ლობდნენ სამეგრელოს სკოლებიდან და ეკლესიებიდან გაედევნათ ქართული; ამ ფაქტმა ეროვნულობის შენარჩუნების ძალუმი სწრაფვა გამოაღვიძა: მეგრელები განიმსჭვალნენ თავიანთი სალიტერატურო და საკულტურო ენის დაცვის იდეით...“

რუსიფიკატორთა საპასუხოდ სამეგა-  
რელოსა და აფხაზეთის საზოგადოებე-  
ბისგან გაიგზავნა განჩინებანი საეკლე-  
სიონ-სამრევლო სკოლებში ქართული ენის  
სწავლების აუცილებლობის შესახებ  
ეპარქის მასწავლებელთა საბჭომ განი-  
ხილა აღნიშნული განჩინებანი, მიიჩნია  
ისინი ჰატივისცემის ღირსად და დაადგი-  
ნა: „იმ სამრევლო სკოლებში, სადაც მო-  
სახლეობა ლაპარაკობს ქართული ენის  
მეგრულ დიალექტზე, ქართული ენის  
სწავლება აუცილებელია“ (ამბროსი ხე-  
ლაია).

თედო სახოკია ნერს: „ყველას მოგეხ-  
სენებათ, რომ მეგრული ენის საკითხი  
რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა,  
ეს საკითხი გაჩნდა მას აქეთ, რაც რუსებ-  
მა საქართველოში ფეხი მოიკიდეს. როცა  
საქართველოს სხვადასხვა სამთავრო გა-  
უქმდა და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა  
ნაწილი გაერთიანდა, რუსეთის მთავრო-  
ბამ იგრძნო ამ გაერთიანების საშიშრო-  
ება და გადაწყდა ხელოვნურად შეექმნა  
დაქუცმაცება ჩვენის ქვეყნისა. 1870-იანი  
წლებში იერიში მიტანილ იქნა სამეგრე-  
ლოს სკოლებზე. აქ სამონასტრო სკოლე-  
ბიდან ქართული ენა გამოიდევნილი იყო,  
როგორც არადედაენა და პირდაპირ რუ-  
სულის საშუალებით ასწავლიდნენ საგა-  
ნებს. ასე იყო საქმე „სამოქალაქო“ და  
„ნორმალურ“ სკოლებში. ამ სკოლებში  
მყოფი შეგირდები ქართულის, ანუ რო-  
გორც ისინი ამბობდნენ და დღესაც ამბო-  
ბენ „ჩქინობურას“ (ე.ი. ჩვენებურს) ნერა-  
კითხვას კონტრაბანდით, შინაურულად  
მალვით თუღა სნავლობდნენ“ (1933 წ.  
ხობის რაიონული გაზეთი, 6-7)...

ქართულის სწავლების მსგავსი მე-  
თოდები მოქმედებს ამჟამად ოკუპირე-  
ბული აფხაზეთის ტერიტორიაზე ქარ-  
თულ სკოლებში – გალის რაიონის სკო-  
ლებში ქართულის სწავლება ქართველი  
მოსწავლეებისთვის საერთოდ არც არის  
გათვალისწინებული...

რატომ მიაჩნდათ და მიაჩნიათ ქართველ მოღვაწებს, რომ მეგრული, სვანუ-



რი და ლაზური ქართული ენის კილოებია?

ପାସୁଥି ଗ୍ରାମିକା: ମରି ଡେଫାର୍ବା ଏବଂ ଏକ ଶ୍ୟାମିକା  
ପାସୁଥି ଗ୍ରାମିକା: ମରି ଡେଫାର୍ବା ଏବଂ ଏକ ଶ୍ୟାମିକା

ილია მართალი გვმოძლვრავს: „ენა ის ტორია ერისა, პირველი ნიშანი ერის ვინაობისა – ენა“;

ვაჟა ფშაველა: „ერი დედაა ენისა“. ა. წლა ა. შ.

ამ მრავალტევადი არგუმენტების სასინიააღმდეგოდ, დიალექტების ენებაც გამოკხადების მომხრეებს დღეს ისეთ უსუსური მტკიცებულებები მოჰყავთ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

თურმე, ამაოდ დაშვრალან ჩვენ  
ერის მამები, ამაოდ უწერიათ ქართულ  
ლიტერატურის შედევრები, ამაოდ უთარ  
გმინათ ათონსა თუ ძველ აღმოსავლეთში  
მიმდნეულ სამონასტრო კერძებში მოლ  
ვანე დაიდ ბერ-მონაზვნებს წმიდა წერი  
ლები, ამაოდ უქადაგიათ ჩვენს სულმნაი  
მოღვაწეთ, რომ სიტყვა – „საქართველო  
კრებითი ცნებაა, რომ საუკუნეთა გან  
მავლობაში იგი ხან ივერიად მოიხსენიე  
ბოდა, ხან კოლხეთად, ხან აფხაზეთად  
მაგრამ ეს გარესამყაროსთვის, ხოლო სა  
ქართველოს ყოველმა კუთხებმ იცოდა ა  
სიტყვის ფასი და მნიშვნელობა.

მთელი რიგი კატაკლიზმებისა და გარედან მოხვეული დაქსაქსულობის მის უხედავად, საქართველოს არცერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის შეიღლა არასოდეს დაუკარგავს ის შინაგანი კავშირი და გზება, რაც ჩვენმა დიდმა ნიაპორებმა უანდერძეს მომავალ თაობებზე და ამას გვიმოწმებონ ჩვენი სიგელ-გუჯრები, უძველესი ეტრატები, გასაოცარ ასომთავრულით ქვებზე ნატვიფრი ძეგლები.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენამდე  
მოლწეული ამ ძეგლებიდან რომელიმები  
აღნიშნული არ ყოფილიყო, რომ ცნებები  
ქართველი, ქართული, ქართული ენა ხე  
ლოვნურად არის შემოგდებული... სადა  
ამისი საბუთი?

თუ ეს ვიღდაცამ ანალებიდან საგანგე  
ბოდ ამოშალა, ნუთუ ერთი ფრაგმენტი  
მაინც არ გადარჩა, რომ ჩვენს წინაპარ  
ქართველებს ამ ვანდალიზმის გამო ეგრ  
ძნოთ სინაზული. მაგრამ აქ საქმე სხვაგ  
ვარადაა:

ვინც საქართველოს დაქუცმაცების კამპანიაშია ჩართული, დიახ, საქართველოს დაქუცმაცების კამპანიაში, კარგად

მოეხსენება, რომ საქართველომ გეო-პოლიტიკური თუ თავის მიერ არჩეული მონამეობრივი ისტორიული გზის გამო გაუძლო მრავალ ჭირთათმენას, ჰქონდა როგორც აღმავლობისა და ძლიერების, ისე დაკინებისა და დედამინის ზურგი-დან გაქრობის შანსიც, მაგრამ არცერთ შემთხვევაში ენობრივი ერთიანობის იდეისთვის არ უღლალატია და ეს ქართველობის ფენიქსისებურად აღდგენის თანმდევი ენერგია გახლდათ. ვისაც ეს ერთიანობა არაფრად უღირს, სწორედ ამ უმთავრესი ფორმოსტის მორღვევას უმიზნებს, თუმცა ამათა მათი ზრახვები: ქართველ ხალხს ენობრივ-ეთნოკური ერთიანობის იმხელა შინაგანი რესურსები აქვს, ვერანაირი გარეგანი ტალღა მისი დუღაბის სიმტკიცეს ვერაფერს დააკლებს.

XIX საკუნის მეორე ნახევარში სამეგრელოსთვის გარედან თავსმოხვეულ პრობლემას მთელი ქართული საზოგადოებრივბა აღვდგა წინ. განსაკუთრებით გამოიჩინა ამ კუთხის გამოჩენილი წარმომადგენლები. სამეგრელოს მოსახლეობა ამ საკითხში საბჭოთა იმპერიასაც არ დაემორჩილა. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარში კონსტანტინე გამსახურდიამ, ქართული სამწიგნობრძო ენის ქმნადობის ძველქართული ტრადიციის გათვალისწინებთ, დღევანდელობისთვისაც საშური თვალსაზრისი ჩამოაყალიბა: „ჩემი აზრით, უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია (აღდგენა – ზ.თ.) ადგილობრივი დიალექტების საშუალებით. უნდა შემოუშვათ ქართულ (სამწიგნობრო) ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურული... ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუნია ქართულ ენას... XX საუკუნის მნერლობამ უნდა მოგვცეს ილას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას თშაურის, მეგრულისა და გურულის ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული“ (პ. გამსახურდია, 1929; თამაშოთ, 1983, გვ. VII, გვ. 499).

1929; ათტოძეული, 1983, ტ. VII, გვ. 499).

ასეთია დიდი ქართველი მწერლის პრინციპული პოზიცია. იგი ვერასოდეს შეურიგდებოდა იმ აზრს, რომ მეგრულ დიალექტზე ეთარგმნათ წმიდა ნერილი და „ვეფხისტყაოსანი“, ქართული ლოცვანი და საგალობლები, იმის მომიზეზებით, სამეგრელოს მოსახლეობას ქართული არ ესმისო. ეს რომ სრული აბსურდია, ამის ჩამდენი, ალბათ, თვითონაც გრძნობენ, მაგრამ დამკვეთებს ასე სურთ არ არის არა ეთერი, არა მეტალი.

► გამრეცლება შემდეგ ნომერში

